ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ლინდა ზანაქიძე

სასწავლო აქტივობები მოტივაციის ამაღლების მიზნით უცხო ენის სწავლებისას

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

თამილა ჩურკვეიძე

ხიჭაური

2021

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში „სასწავლო აქტივობები მოტივაციის ამაღლების მიზნით უცხო ენის სწავლებისას“ წარმოდგენილია მოტივაციის როლი და მნიშვნელობა სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე ის თუ რამდენად ეხმარება სასწავლო აქტივობები უცხო ენის სწავლების პროცესის გამარტივებას.

გამოვიყენებ როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს: ემპირიულ კვლევას, მასწავლებელთა მასობრივ გამოკითხვასა და მოსწავლეთა გამოკითხვას. რაც შეეხება კვლევის **მიზანს**, თეორიული მასალის საფუძველზე, გამოკითხვების შედეგების ანალიზსა და ემპირიულ კვლევაზე დაყრდნობით, ვეცდები, დავადგინო, თუ რამდენად აქტიურად იყენებენ პედაგოგები სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს უცხო ენის შესწავლისას და რამდენად ზრდის ეს აქტივობები მოსწავლეებში მოტივაციას.

ყველამ კარგად ვიცით თუ როგორ იზრდება მოთხოვნა უცხო ენების მიმართ, ეს განპირობებულია უამრავი ფაქტორით. დღეს უმთავრესი შემსწავლელთა მოთხოვნები და საჭიროებებია. უცხო ენის მასწავლებლები ცდილობენ სასწავლო პრეცესი უფრო სახალისო, ინტელექტუალური, საინტერესო გახადონ. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ კვლევა საკმაოდ **აქტუალურია**.

დასკვნით ნაწილში დანართის სახით წარმოდგენილია კითხვარი და შედეგები რომლებიც გამოვიყენე კვლევისთვის.

Abstract

The Master's thesis **"Educational activities in order to increase motivation while teaching foreign languages"** presents the role and importance of motivation in schools or universities, as well as the degree to which the learning activities help to simplify the process of learning a foreign language.

The research **objectives** are formulated as: empirical research, mass teacher surveys, and student surveys. As for the purpose of the research, based on theoretical material, analysis of survey results and empirical research, I will try to determine how actively teachers use different learning activities in learning a foreign language and how much these activities increase students' motivation.

We all know how the demand for foreign languages is growing, this is due to many factors. The demands and needs of learners are paramount today. Foreign language teachers try to make the learning process more fun, intellectual, and interesting. Therefore it can be said that the research is quite actual.

The concluding section appends the questionnaire and the results I used for the research.

შინაარსი

შესავალი.....9

თავი 1. რა არის მოტივაცია?!.....11

1.1. შემსწავლელის მოტივაცია და განწყობა სწავლების პროცესის მიმართ 22

1.2. მოტივაციის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორები 24

1.3. მარია მონტესორის სწავლების მეთოდები.....26

დასკვნა……..28

თავი2. უცხო ენის როლი და აქტუალობა 21-ე საუკუნეში......29

2.1. რამდენად აქტიურად და რა მიზნით შეისწავლიან უცხო ენებს.....29

2.2. უცხო ენის შესწავლა და ასაკობრივი თავისებურებანი.....30

2.3. სახელმძღვანელოს როლი მოტივაციის განვითარებისათვი.....32

2.4. მოტივაციის ამაღლების დამატებითი საშუალებები.....35

დასკვნა 41

თავი3. უცხოური ენის შესწავლის ეფექტური მეთოდები და მოტივაციის ამაღლება.....43

3.1. თამაშის როლი უცხო ენის სწავლებაში.....43

3.2. მობილური ტელეფონების გამოყენება საკლასო ოთახებში.....45

3.3. ინგლისური ენის სწავლების მეთოდები და მოტივაცია.....46

3.4. კვლევა მოტივაციის მაჩვენებლის გამოვლენის მიზნით 49

დასკვნა.....58

გამოყენებული ლიტერატურა 60

შესავალი

ყველასთვის კარგად ნაცნობი ფაქტია ის თუ როგორ იზრდება უცხო ენების მნიშვნელობა, არამარტო საქართველოში არამედ მთელს მსოფლიოში. წარსულს ჩაბარდა საბჭოთა პერიოდი, როდესაც წარმატებისთვის მხოლოდ რუსული ენის ცოდნა იყო საკმარისი. დღევანდელ რეალობაშიც ერთი უცხო ენის ცოდნა მინიმალური მოთხოვნაა ნებისმიერი ადამიანისთვის. ნათქვამია „რამდენი ენაც იცი იმდენი კაცი ხარო."

კვლევის მიზანი შემდეგია, თეორიული მასალის საფუძველზე, გამოკითხვების შედეგების ანალიზსა და ემპირიულ კვლევაზე დაყრდნობით, ვეცდები, დავადგინო, თუ რამდენად აქტიურად იყენებენ პედაგოგები სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს უცხო ენის შესწავლისას და რამდენად ზრდის ეს აქტივობები მოსწავლეებში მოტივაციას.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში დასახულია შემდეგი **ამოცანები:**

1. მოტივაციის განმარტება, მისი როლისა და დანიშნულების განსაზღვრა;
2. სასწავლო აქტივობების მიზნები და შედეგები;
3. რამდენად აქტიურად მიმართავენ პედაგოგები უცხო ენის შეწავლისას სასწავლო აქტივობებს და იზრდება თუ არა მოსწავლეთა მოტივაცია;

ნაშრომის სიახლეს - აქტუალურობას წარმოადგენს: ნაშრომში წარმოდგენილია აქტივობები, რომელთა პრაქტიკული გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნის შესწავლისადმი მოტივაციის ამაღლებას, ამავდროულად, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დასახულია გზები და მეთოდები რომელთა საშუალებით გარეგანი სამოტივაციო ფაქტორები ენის შემსწავლელებში ძალდაუტანებლად, შეუმჩნევლად ყალიბდება, როგორც შინაგანი მოტივაცია.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას ის წარმოადგენს, რომ ნაშრომში არსებული კვლევა დაეხმარება პედაგოგებსა თუ სხვა მკვლევარებს იმ სტატისტიკის დადგენასა და შედარებაში თუ რამდენად აქტიურად იყენებენ პედაგოგები სასწავლო

აქტივობებს მოსწავლეებში სწავლისადმი მოტივაციის ასამაღლებლად და რამდენად შედეგიანია ისინი მოსწავლეებში.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისთვის შეიქმნა კითხვარი, როგორც მასწალებლებისთვის ასევე სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისთვის. მიღებული პასუხებით შეიქმნა პროცენტული მაჩვენებელი და შემდგომ უკვე დასკვნა.

ნაშრომის მასალად (საკვლევი ობიექტი) შეირჩა სხვადასხვა სტატიები, მეცნიერთა წიგნები და უკვე არსბული კვლევები მიმდინარე თემასთან დაკავშირებით.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და გმოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

I თავი

რა არის მოტივაცია?!

მოტივაცია - ეს არის შინაგანი იმპულსი, ბიძგი რაიმე მოქმედებისკენ, რომელიც გვეხმარება დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში. იგი არის ფაქტიურად ყოველი მოქმედების საფუძველი, იწყებს და წარმართავს მოქმედებას. მოტივაციის გრეშე არ არსებობს ქმედება. (Riemer, C. (2010)

1. მიზნობრივი მოტივაცია- უზრუნველყოფს უშუალოდ სასურველი მიზნისკენ მისაღწევი გზებისა და ხერხების პოვნას, გააზრებას.

2. წარმატების მოტივაცია- თუ საგანი გეხერხება, მაშინ მას შეისწავლიან სიამოვნებით, ინტერესით. უცხოური ენების შესწავლის მოტივაცია მნიშვნელოვნად იზრდება, თუ ენის გამოყენების პერსპექტივები ხორციელდება არამხოლოდ გაკვეთილზე, არამეთ საკლასო ოთახის გარეთაც.

3. კულტურათაშორისი მოტივაცია- ენა ძალიან სწრაფად მოქმედებს ყველა სოციალურ ცვლილებაზე ნებისმიერი ქვეყნის ცხოვრებაში. მასში ხედავენ ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციებს. ეს ძალიან დიდ როლს ასრულებს ენის ბუნების გაგებასა და გააზრებაში.

4. ესთეტიკური მოტივაცია- ენის შესწავლის პროცესს უფრო სასიამოვნოს ხდის.

5. ინსტრუმენტალური მოტივაცია - ითვალისწინებს შემსწავლელთა ტემპერამენტს და ყველა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოავლინონ საკუთარი თავი სასურველ სამუშაო სფეროში.

მოტივაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის გვაიძულებს აქტიურად ვეძებოთ რესურსები, რათა ვუზრუნველყოთ თვითგადარჩენა. ჩვენ მოტივირებულნი ვართ, რომ მოვიპოვოთ საკვები და ვიკვებოთ, ან ვიპოვოთ მეორე ნახევარი. ეს არის მაგალითი შინაგანი მოტივაციისა რომელიც ჩვენში ბუნებრივად არსებობს და ვლინდება ჩვენგან დამოუკიდებლად.

მაგრამ ჩვენ ასევე შეგვიძლია ვიყოთ მოტივირებულნი, რომ დავკავდეთ საყვარელი საქმით, ვისწავლოთ რაიმე ახალი. ეს მეორეხარისხოვანი მოტივაციაა, რომელოც დამოკიდებულია ჩვენს კულტურასა და მენტალიტეტზე.

ბუნებრივია, რომ ჩვენში არსებობს მოტივაცია, რომელიც აღგვიძრავს ყველაფრის შესწავლის სურვილს.

შესაძლოა, სწავლისას მოტივაცია ჩნდება რაიმე საგნის მიმართ ჩვენივე ინტერესის საფუძველზე ან თუნდაც იმიტომ, რომ ეს ცოდნა ჩვენ რაღაცისთვის გვჭირდება (მაგალითად სამსახურისთვის, თვითგადარჩენისთვის).

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ მოტივაციის ორი სახე: შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. დღესდღეობით ეს უბრალოდ ორი სახის მოტივაცია კი არა, უფრო მეტიც, ერთი მთელის ორი საპირისპირო სახეა.

შინაგანი მოტივაცია თავს იჩენს მაშინ როდესაც ადამიანები განიცდიან შინაგან სურვილს გააკეთონ რაიმე, რადგან თვლიან მას მნიშვნელოვნად, ან ეს მათ უბრალოდ სიამოვნებას ანიჭებს. ასეთი მოტივაციის მქონე მოსწავლეები ძირითადად დაინტერსებულნი იქნებიან პრობლემური დავალებების შესრულებით, რომელთაც ჭირდებათ გადაჭრა, ისინი არ მიანიჭებენ უპირატესობას რაიმე ჯილდოს მიღებას. შინაგანი მოტივაცია ქვეითდება ასაკის მატებასთან ერთად. იმისთვის, რომ ეს მოტივაცია არ დაქვეითდეს საჭიროა უფრო კონკრეტული, გარკვეულ კონტექსტში მოქცეული დავალებები.

გარეგანი მოტივაცია ვლინდება მაშინ, როდესაც მოსწავლე ასრულებს დავალებას იმისთვის, რომ მიიღოს რაიმე ჯილდო ან არ მიიღოს სასჯელი. ამასთანავე დამტკიცდა, რომ დასჯას მოაქვს უფრო მეტი ზიანი, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს მოტივაციის დაქვეითებისათვის; ხოლო ჯილდოსა და წახალისებას ახასიათებს დამოკიდებულება. ამიტომ სასურველია შემუშავდეს ისეთი მიდგომა, რომელიც ხელს შეუწყობს ჯილდოებზე ყურადღების გამახვილები თანდათანობით შემცირებას და შინაგანი მოტივაციის ამაღლებას.

მოტივაციის როლი სწავლის პროცესში

მოტივაცია ეს არის ძალა, რომელიც გვიბიძგებს რაიმე ქმედებისკენ და მიზნის მიღწევისკენ.

მოტივაცია ასრულებს მთავარ როლს ჩვენს განათლებაში. კვლევები გვიჩვენებენ, რომ მოტივაცია უფრო დიდ გავლენას ახდენს ჩვენს უნარიანობაზე საგნის ათვისების შესაძლებლობებზე, ვიდრე ჩვენი IQ (ინტელექტის ხარისხი).

ერთერთ კვლევაში დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს, რომ ინტელექტის დონე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათემატიკაში მონაწილეთა შედეგებზე. მაგრამ კონკურენციის მხოლოდ საწყის ეტაპზე. მოტივაციის მაღალმა დონემ და მონაწილეთა უნარებმა ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მათემატიკური უნარების გამომუშავებასა და გაუმჯობესებაში. მოსწავლეები საუკეთესო მონაცემებით იყვნენ შინაგანად მოტივირებულნი, მათ შეძლეს ისეთი უნარების გამოყენება, როგორებიცაა ახსნა, სინთეზი, ახალი და ძველი შედეგების ერთმანეთთან დაკავშირება. ისინი არ იყენებდნენ დაზეპირების მეთოდს, ცდილობდნენ ყველაფერი გაეაზრებინათ. ამიტომაც ჰქონდათ იმათზე უკეთესი შედეგები, ვისაც არ გააჩნდა შინაგანი მოტივაცია.

რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ბავშვებში მოტივაციის შენარჩუნება?

მოტივაცია ზრდის ძალისხმევას და მიზანდასახულობას რაიმე სამუშაოს ან დავალების შესრულებისას. ჩვენი მოტივაცია ინიციატივას აწვდის ეგრეთ წოდებულ "მწვანე შუქს";

მოტივაცია აუმჯობესებს კოგნიტურ უნარებს;

და ბოლოს, მოტივაცია ზრდის შრომისუნარიანობას.

როგორ გამოვიცნოთ არიან თუ არა საკმარისად მოტივირებულნი მოსწავლეები ან სტუდენტები?

მონეო როდრიგესის აზრით, ადამიანების ქცევა ეგრეთ წოდებული მოტივაციის საზომი ინდიკატორია. ეს საკმაოდ სანდო მაჩვენებელია, რომლის

გამოყენებაც შეუძლიათ მასწავლებლებს, რომ შეაფასონ სტუდენტთა მოტივაცია და მოახდინონ შესაბამისი ზეგავლენა.

მაგალითად, თუ მე მირჩევნია ტელევიზორის ყურება დავალებების შესრულებას, ჩემი არჩევანი მიუთითებს მოტივაციის დონეზე.

რაც უფრო დიდი დროით გადავდებთ შესასრულებელ საქმეს მით უფრო დაეცემა მოტივაციის დონე.

რაც უფრო მეტი ძალისხმევით შევასრულებთ სამუშაოს მით უფრო გაიზრდება მოტივაციაც.

მოტივაციის ხარისხი პირდაპირ კავშირშია შესრულებული სამუშაოს ხარისხთან. რაც უფრო გულგრილად ვასრულებთ სამუშაოს, ვცდილობთ მალე მოვრჩეთ, მით უფრო ცუდია შედეგიც და დაბალია მოტივაციაც.

ემოციის გამოხატვის მაჩვენებლები.

ჩვენს ქმედებებს ხშირად ახლავს გამომეტყველება, რომელიც გვიჩვენებს კმაყოფილები ვართ თუ არა. ყურადღების გამახვილება სტუდენტთა და მოსწავლეთა ემოციებზე გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას მათ მოტივაციაზე.

როგორ გავზარდოთ სკოლის მოსწავლეთა მოტივაცია სწავლისადმი?

1. ურთიერთობები მოქმედებას ახდენენ მოტივაციაზე

კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობა იმაზე მნიშვნელოვანია ვიდრე სასწავლო მასალა. ეს ურთიერთობა მნიშვნელოვანია არამარტო სწავლის პირველ საფეხურებზე არამედ მოგვიანებითაც, როდესაც მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები უფრო მკაფიო ხდება.

აღმოსავლეთ ფინეთში ჩატარებული კვლევების თანახმად, მასწავლებლის მიერ შექმნილი თბილი და მეგობრული გარემო ზრდის მოსწავლის მოტივაციას სწავლისადმი.

მასწავლებლის კეთილგანწყობა ასევე ეხმარება მოსწავლეებს სოციალიზაციაში. მათ მეგობრული დამოკიდებულება ექმნებათ თანატოლების მიმართ.

როგორ მივცეთ სტიმული მოტივაციას?

გადავიყვანოთ საკუთარი თავი დადებით განწყობაზე. დავამყაროთ და შევინარჩუნოთ ჰარმონიულობა მოსწავლეებთან. გამოვიჩინოთ გულისხმიერება და ყურადღება და ვაჩვენოთ მათ, რომ არ ვართ გულგრილად განწყობილი, როგორც მოსწავლეთა მიმართ, ასევე სწავლის პროცესის მიმართაც. არასოდეს დავცინოთ მათ, თუ მათ რაღაც არ იციან ან რაიმე არ გამოსდით. ვიყოთ გამგებიანები. იუმორი გამოვიყენოთ მხოლოდ დადებითი კუთხით, ჩავატაროთ კლას-საათები, ან შესვენებები, რათა მოსწავლეებმა მოიხსნან დაძაბულობა და დაღლილობა.

2. დავაფასოთ მოსწავლეთა ძალისხმევა

შედეგზე გაცილებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ძალისხმევის დაფასება. თუ ჩვენ ძირითადად შედეგების შეფასებაზე უფრო მეტად ვიქნებით ორიენტირებული, ბავშვები მხოლოდ მათ მიღწევაზე იფიქრებენ, დაავიწყდებათ, რომ შედეგის მისაღებად მათ ძალისხმევა სჭირდებათ. გარდა ამისა ძალიან ხშირად შედეგი სხვა გარემოებებზეც არის დამოკიდებული, მაგალითად, გამართლებაზე ან კიდევ შემთხვევითობაზე.

როგორ მოვახდინოთ მოტივაციის სტიმულირება?

კონცენტრირება მივმართოთ მოსწავლეთა განათლებაზე, წავახალისოთ ისინი, რომ რაც შეიძლება მეტი ძალისხმევით მიუდგნენ სწავლას. დავაჯილდოვოთ ის მოსწავლეები, ვინც დაუზარელად იმუშავა: “თქვენ ძალიან ყურადღებით ხართ ეს იმას ნიშნავს, რომ დავალებით დაინტერესებულნი ხართ”, ან კიდევ “თქვენ დაუზარელად მუშაობთ, ასე ძალიან ბევრს ისწავლით”.

3. წავახალისოთ მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში

თუ მოსწავლეები იგრძნობენ, რომ ისინი საჭირონი არიან და მათ აკისრიათ პასუხისმგებლობა, მათში მოტივაციის დონე საგრძნობლდ აიწევს. შესაბამისად,

თითოეულ მათგანს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ მისი როლი ძალიან მნიშვნელოვანია ამა თუ იმ აქტივობაში.

როგორ ავამაღლოთ მოტივაცია? დავავალდებულოთ მოსწავლეები, გამოვნახოთ დრო სახალისო აქტივობებისთვის. თითოეულმა მოსწავლემ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა და ვალდებულება რომელიმე დავალების შესრულებისთვის: კლასში წესრიგის დაცვა, დაფის გასუფთავება, ან მოსწავლეებისთვის დავალებების დანაწილება... როდესაც ისინი მუშაობენ ჯგუფურად, თვალყური ვადევნოთ იმას, რომ ყოველი მოსწავლე იყოს აქტიურად ჩართული და გრძნობდეს პასუხისმგებლობას.

4. გამოვიყენოთ სტიმულები

როგორც უკვე ითქვა, მნიშვნელოვანია ძალისხმევის დაფასება და წასახალისება. მით უმეტეს ყველამ ვიცით, რომ ბავშვები ყურადღების მოყვარულნი არიან და მათ სჭირდებათ კარგად შესრულებული დავალების სანაცვლოდ რაიმე ჯილდო. როგორც წესი, ბავშვები ვერ აცნობიერებენ იმას, თუ რამდენად საჭიროა მათი კარგი მომავლისთვის ცოდნის მიღება, მათ ურჩევნიათ სანაცვლოდ რაიმე ჯილდოს მიღება. სტიმულები მათ აძლევენ მოტივაციას იმუშაონ და მიაღწიონ დასახულ მიზანს.

ეფექტურია, თუ მოვიფიქრებთ ჯილდოების ჩვენეული სისტემას ბავშვების მიღწევების მიხედვით. ეს შეიძლება იყოს გარკვეული პრივილეგიები, ან უბრალო ნივთები, რასაც ბავშვებისთვის ბედნიერება მოაქვს (მაგალითად სტიკერები). თუმცა, თავი უნდა ავარიდოთ ხშირ წახალისებას, რადგან შეიძლება მალე მოსაბეზრებელიც კი გახდეს. იდეალური იქნება თუ დადგინდება გარკვეული კანონზომიერება, თუ როდის უნდა დაჯილდოვდეს და წახალისდეს მოსწავლე. თუ საქმე გვაქვს დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან დავაჯილდოვოთ ისინი დღეში ერთხელ, ეს საკმარისი იქნება. უფროსკლასელთათვის კი წახალისება უმჯობესია კვირაში ერთხელ.

ოპტიმალური ვარიანტი იქნება ნივთიერი დაჯილდოებების შემცირება და მათი ჩანაცვლება შექებით, ღიმილით, წამახალისებელი სიტყვებით. რადგან, როგორც უკვე ვახსენეთ ბავშვები ძალიან მარტივად ეჩვევიან ჯილდოებს.

5. საქმე მრავალფეროვნებაშია

ბავშვები მალე იწყებენ მოწყენას თუ არ იღებენ შესაბამის რეაქციას გაკვეთილზე. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია დღეს, ტექნოლოგიებით აღჭურვილ სამყაროში, როდესაც ბავშვები დამოკიდებულნი არიან ტელეფონებსა და კომპიუტერებზე. როგორც ცნობილია ბევრი მშობელი იყენებს ტექნიკას ბავშვის დასამშვიდებლად. ამიტომ გაკვეთილზე შევეცადოთ თავი ავარიდოთ რუტინასა და ერთფეროვნებას, არ ვთქვათ უარი თანამედროვე, განმავითარებელ ტექნიკაზე.

მივმართოთ შემოქმედებით მიდგომას. მოვიძიოთ ახალი, თანამედროვე მეთოდები გაკვეთილის ახსნისა. გაკვეთილებზე დრო დავუთმოთ თამაშებსა და დისკუსიებს, ეს საგაკვეთილო პროცესს უფრო აქტიურს გახდის, მოსწავლეები კი უფრო ჩართულნი იქნებიან. მოსაწყენი გაკვეთილები, რომლებშიც ბავშვები უბრალოდ იღებენ ინფორმაციას და არ არიან მასში აქტიურად ჩართული, არამხოლოდ არაეფექტურია, უფრო მეტიც, აქვეითებს ბავშვების მოტივაციას. ასევე სასურველია სხვადასხვა სასწავლო ნივთების გამოყენება, მაგალითად ნახატები, სურათები, მოკლე ვიდეოები, ფილმები და ასე შემდეგ.

6. ავუხსნათ <<რისთვის მჭირდება ეს ყველაფერი?>>

ხშირად მოტივაციას ვკარგავთ მაშინ, როდესაც არ ვიცით რეალურ ცხოვრებაში, როგორ შეიძლება გამოგვადგეს მიღებული ცოდნა. ამიტომ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას მიღებული ცოდნის პრაქტიკულ ღირებულებას.

გაკვეთილის დასაწყისში შეიძლებათ გამოვყოთ დრო და ავუხსნათ მოსწავლეებს რა პრაქტიკული ღირებულება ექნება მასალას, რომელსაც ისინი შეისწავლიან. თუ ვასწავლით ალგებრას, დრო დავუთმოთ მიღებული ცოდნის გამოყენებას პროფესიული კუთხით მაგალითად ინჟინერიაში. თუ ჩვენ მოსწავლეებს მივახვედრებთ იმას, რომ სწორედ ამ ცოდნას იყენებენ რეალურ საქმეში ადამიანები,

ეს გაზრდის ჩვენი გაკვეთილის ფასს მათ თვალში და ასევე გაზრდის მოტივაციას გაკვეთილისადმი.

7. არ ღირს მათი დაუფასებლობა

როდესაც მასწავლებელი არ აფასებს მოსწავლეებს და მუდმივად მიმართავს მათ როგორც ზარმაცებს, მოუქნელებს, უსარგებლოებს, ეს მხოლოდ ანადგურებს მათ მოტივაციას. ეს აიძულებს მათ თავი იგრძნონ არაფრის მაქნისებად, არასრულფასოვნებად, კლებულობს მათი თვითშეფასების ხარისხი; ისინი იფიქრებენ, რომ არ არსებობს საშუალება, რითაც შესაძლებელია მათი ისეთი მიმართულებით სვლის პერსპექტივა, რაც ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს საზოგადოებაში.

თავი უნდა ავარიდოთ უარყოფით შეფასებებს და დასკვნებს. ამის სანაცვლოდ, ხაზი უნდა გავუსვათ და წავახალისოთ მოსწავლეთა ძლიერი მხარეები, მიღწევები და ღირსება. ასაკის მიხედვით წავახალისოთ მათი ფიქრის ტაქტიკა. ასწავლეთ მათ გაიგონ, რომ ყველაფერი პირველივე ცდაზე შეიძლება არ გამოვიდეს, წარმატება და შესაძლებლობა მოაქვს პრაქტიკას. შევეცადოთ ჩამოვუყალიბოთ და გავამყაროთ მათი თვითრწმენა.

8. გამოვიყენოთ CogniFit, წამყვანი პროგრამა ნეიროსწავლების სფეროში

CogniFit ტაქტიკა დაფუძვნებულია თავის ტვინის პლასტიკურიბაზე. ეს პროგრამა ძალიან მარტივი გამოსაყენებელია. ის შედგება სხვადასხვა კლინიკური თამაშებისგან, რომელთა თამაშიც შეიძლება კომპიუტერების დახმარებით და მასწავლეებს, რომლებიც არ არიან ფსიქოლოგიის სპეციალისტები, აძლევს უფლებას გაანალიზონ სწავლების პროცესი და განავითარონ თითოეული მოსწავლის პოტენციალი.

Cognifit ადგენს მეცნიერული კუთხით მონაწილეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და აკავშირებს მიღწეულ შედეგებს მოსწავლეთა მოსწრების დონესთან, ქცევებთან და მოტივაციასთან, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მასწავლებელმა შეიმუშაოს სწავლების პერსონალური სტრატეგიები.

9. დავეხმაროთ მათ პრობლემების გადალახვაში

ბევრ ბავშვს უჭირს სწავლისადმი მოტივაციის შენარჩუნება, რადგან მათ აქვთ შიშის შეგრძნების მაღალი დონე, შიში წარუმატებლობისა და სასურველი შედეგების მიუღწევლობისა.

ვესაუბროთ მათ სიმშვიდეზე, ვასწავლოთ მათ წარუმატებლობაში დაინახონ რაღაც დადებითიც. შეცდომები გვეხმარება ვისწავლოთ უფრო მეტი, და გვეხმარებიან გავიგოთ ის თუ რას არ უნდა ვაკეთებდეთ. თუ შიშის დონე მათში ძალიან მაღალია მაშინ უნდა ვიმუშავოთ კლასის ეტაპობრივ მოდუნებასა და დამშვიდებაზე.

10. ვასწავლეთ მათ თვითმოტივაციის განვითარება

ბავშვების მოტივირების უნარი მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ვასწავლოთ მათ თვითმოტივაცია და მისი მართვა.

დავეხმაროთ მოსწავლეებს იპოვონ მიზეზი, რის გამოც მიღებული ცოდნა მათთვის იქნება სასარგებლო. შესაძლოა მიღებული ცოდნით ისინი მარტივად გაუგებენ გარშემომყოფებს? ან მათ ეს ცოდნა გამოადგებათ მაშინ როდესაც ჩააბარებენ უნივერსიტეტში? გამოყენებადია თუ არა ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში?

დავკონკრეტდები და ყოველივე ზემოთ ხსენებულს განვიხილავ ინგლისურთან მიმართებაშიც.

მოტივაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ((ლათ. Movere)- 1) მოქმედებისკენ სწრაფვა. 2) დინამიური პროცესი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური კუთხით) ადამიანის მიერ მართვადი მოქმედებაა, რომელიც განსაზღვრავს მის მიზნობრიობას, მოწესრიგებულობას, აქტიურობას და მდგრადობას; ეს არის ადამიანის უნარი შრომით დაიკმაყოფილოს მატერიალური მოთხოვნილებები.

მოტივაციის სახეები ინგლისური ენის შესწავლის დროს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მოტივაცია არაერთგვაროვანია. შესაბამისად, მოტივაციის სხვადასხვა ფორმის ჩამოყალიბებას თავისი მაპროვოცირებელი სტიმული აქვს. ჩვენ შევეცდებით ჩამოვთვალოთ და დავასაბუთოთ მოტივაციის სახეებსა და მათ საფუძვლებს:

1. ფართე სოციალური მოტივაცია.

ყოველმა განათლებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს ინგლისური ენა (საერთო განვითარებისთვის; აუცილებელია იცოდე, როგორც ყველაზე გავრცელებული ენა მსოფლიოში)

2. ენა იციან ჩემმა მშობლებმა და მე მინდა მათ ვგავდე.

3. ვსწავლობ, როგორც პროგრამაში შემავალი საგანი, მინდა მქონდეს მაღალი შეფასება.

4. არ მინდა ამხანაგებს რაიმეთი ჩამოვრჩებოდე.

5. არ მინდა იმედი გავუცრუო ჩემს საყვარელ მასწავლებელს.

6. ინგლისური ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია წაიკითხო რაიმე უცხოური რეკლამა, განცხადება, ეტიკეტი.

7. ინგლისური უფრო მეტად მომწონს ვიდრე სხვა უცხო ენები, რადგან ის უფრო საინტერესოა.

8. საგანი მომწონს მასწავლებლის გამო.

შინაგანი მოტივაცია კავშირშია საკუთარი „მე“ს განვითარებასთან

9. ვსწავლობ იმიტომ, რომ ეს აუცილებლად გამომადგება ცხოვრებაში.

10. ინგლისური ენა შეიძლება გამომადგეს უნივერსიტეტში, (სამსახურში, ცხოვრებაში) შეიძლება სიამაყე შემმატოს.

კომუნიკაციური მოტივაცია

11. მომწონს კლასში უცხო ენაზე საუბარი.

12. ინგლისურის გაკვეთილი საინტერესოა და სხვა მოტივებზე არც კი ვფიქრობ.

13. ინგლისური ენა ემსახურება ჩემი შინაგანი ინტერესების დაკმაყოფილებას (კომპიუტერი, ინტერნეტი, თანამედროვე მუსიკა, ვიდეო)

14. მინდა ვისწავლო ინგლისურად წერილების წერა.

15. მომწონს ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან წერილების კითხვა.

16. მინდა თანატოლებთან, უცხოელებთან მიმოწერა.

მოტივაცია რომელიც ვითარდება უშუალოდ სასწავლო პროცესში

17. მაინტერესებს ინგლისური, როგორც საგანი: მომწონს ტექსტების თარგმნა, ახალი სიტყვების სწავლა, დავალებების შესრულება, წარმატების შეგრძნება სწავლის დროს.

18. მომწონს როდესაც ვთამაშობთ.

19. მარტივად ვიმახსოვრებ ინგლისურ სიტყვებს.

20. მომწონს ლექსების სწავლა.

21. მომწონს გაკვეთილისთვის ნახატებისა და ბარათების შექმნა.

გამოყოფენ მოტივაციის შემდეგ მეთოდებს.

მოტივაციის ემოციური მეთოდები:

1-წახალისება; 2 - გაკიცხვა; 3- შემეცნებითი თამაშები; 4- ფერადი, პიროვნული წარმოდგენების შექმნა; 5- წარმატების სიტუაციის შექმნა; 6- მასტიმულირებელი შეფასება; 7- დავალების არჩევის თავისუფლება; 8- დაკმაყოფილება ღირებულად ყოფნის სურვილისა.

შემეცნებითი მოტივაციის მეთოდები:

1- ცხოვრებისეული გამოცდილების იმედი; 2- შემეცნებითი ინტერესი; 3- პრობლემური სიტუაციის შექმნა; 4- ალტერნატიული გადაწყვეტილებების ძებნისკენ ლტოლვა; 5- შემოქმედებითი დავალებების შესრულება; "გონებრივი იერიში",

ძლიერი ნებისყოფის მოტოვაციის მეთოდები:

1- სასწავლო მოთხოვნების წაყენება; 2- სწავლის დროს აუცილებლად მისაღწევი შედეგების გაცნობა; 3- სწავლასთან პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბება; 4- თვითშეფასება; 5- მოქმედებაზე რეფლექსია; 6- მომდევნო აქტივობების დაგეგმვა

მოტივაციის სოციალური მეთოდები:

1- განვითარება იმ სურვილისა, რომელიც გაგრძნობინებს, რომ საზოგადოებისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ხარ; 2- სურვილი იმისა, რომ მიბაძო ძლიერ ადამიანებს; 3- სხვების დახმარების სურვილის აღძვრა; 4- თანამშრომლობის უნარის განვითარება; 5- კოლექტიური სამუშაოს შესრულების შედეგებით დაინტერესება.

1.1. შემსწავლელის მოტივაცია და განწყობა სწავლების პროცესის მიმართ

მოტივაცია ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს ენის შესწავლის პროცესში. ტერმინი მოტივაცია ფსიქოლოგიაში 100 წლის წინ დამკვიდრდა და მას შემდეგ ინარჩუნებს კიდეც თავდაპირველ მნიშვნელობას. მოტივაცია მიმართავს ადამიანს გარკვეული მიზნისკენ და ეხმარება მას შეარჩიოს ამ მიზნისკენ მიმავალი ნაბიჯები და გზები. ჰარმერის (Harmer; 2001) მიხედვით, მოტივაცია, არის სწავლა-სწავლების ძირითადი ფაქტორი და იგი, როგორც ერთგვარი შინაგანი ძალა, ადამიანს უბიძგებს გარკვეული ქმედებისაკენ დასახული მიზნის მისაღწევად. უშუალოდ პედაგოგიკასა და პედაგოგიურ

ფსიქოლოგიაში ტერმინი „მოტივაცია“ განიხილება, როგორც მოსწავლის სწავლა/სწავლების პროცესში აქტიურობის, ჩართულობის, მისი სასწავლი მასალისადმი დაინტერესებისა და დადებითი დამოკიდებულების აღსანიშნად.

ტერმინ „მოტივის“ ქვეშ, რომელიც აღვიძებს მოსწავლეში სწავლის სურვილს, მოიაზრება არა ერთი, არამედ მთელი რიგი სხვადასხვა თვისების მქონე მოტივებისა, რომელთა განაწილებაც შეიძლება შემდეგი პრონციპით:

სასწავლო - შემეცნებითი: (ინტერესი სწავლის მიმართ, ცოდნის მიღებისკენ სწრაფვა, ცნობისმოყვარეობა და ასე შემდეგ).

პირდაპირი მოტივაცია (სიაშკარავე, სიახლე, მიმზიდველობა, დასჯის შიში და სხვა).

პერსპექტიულობის გამომწვევი მოტივაცია - (პასუხისმგებლობა; ვალდებულების შეგრძნება და სხვა).

მოსწავლეები, რომელთაც ახასიათებთ მოტივაციის მაღალი დონე:

- არიან აქტიურები;
- დადებითად არიან განწყობილი სასწავლო პროცესისადმი;
- სურთ იყვნენ დამოუკიდებლები;
- სწამთ, რომ მათი წარმატება არამხოლოდ იღბალზე, არამედ მათი სწავლის ხარისხზეა დამოკიდებული.

სწავლება, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ინტერესს და რომელიც მხოლოდ დაძალებით წარიმართება, კლავს მოსწავლეში სწავლის სურვილს. მოსწავლის სწავლისადმი წახალისება მეტად უფრო ღირსეული ქმედებაა ვიდრე მისი იძულება. (უშინსკი)

თანამედროვე საზოგადოება სკოლისგან ელოდება მიზანდასახული, შრომისუნარიანი, შემოქმედი ახალგაზრდების ჩამოყალიბებას, რომელთაც ექნებათ ფართო მსოფლმხედველობა. სკოლა განათლების მოდერნიზებულ სისტემაში ეძებს მოზარდების სწორედ ასეთად ჩამოყალიბების გზებს.

ყოველგვარი სწავლების ამოცანა გახლავთ პირობების შექმნა პიროვნების ჩამოყალიბების მიზნით. განათლების სისტემა ეფუძნება ისეთ სწავლებას, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს.

ვინაიდან საუბარია მოტივაციაზე სწავლის დროს - ეს მოიცავს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა უშუალო და აქტიურ ჩართულობას. ზოგადად გამოიყოფა სწავლისადმი სამი სახის დამოკიდებულება: დადებითი, გულგრილი და უარყოფითი.

დადებითი განწყობა გამოიხატება მოსწავლეთა აქტიურობით, პერსპექტიული მიზნების დასახვით, საკუთარი სწავლის შედეგების წინასწარმეტყველებით, მიზნის მისაღწევად ყოველგვარი პრობლემის გადაჭრით.

გულგრილი დამოკიდებულება გამოიხატება მასწავლებლის ან მშობლის ხათრით სწავლაში, სწავლის მიზნის გაუცნობიერებაში, სწავლის შედეგების მიმართ უინტერესო დამოკიდებულებაში.

მოსწავლეთა უარყოფითი დამოკიდებულება სწავლისადმი გამოიხატება- უინტერესობით, მხოლოდ ნიშნებზე ფიქრით, მიზნის დასახვის უუნარობით, სკოლისადმი და მოსწავლეებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით.

1.2. მოტივაციის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორები

მოტივაცია, ეს არის ტერმინი რომელიც აქტიურად გამოიყენება თანამედროვე პედაგოგიკაში. მოტივაცია მოსწავლეებს უბიძგებს ისეთი ქმედებების განხორციელებისკენ როგორიც არის შიდა და გარე სტიმულებზე პასუხი. შიდა და გარე სტიმულებში იგულისხმება : ემოციები, გრძნობები, განცდები, გარემო და სხვა. აქედან გამომდინარე მოტივაცია შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც პროცესი რომელსაც მივყავართ სასურველ მიზნამდე. (Schumann, J; 2001)

პედაგოგიკაში უპირველესი და უმთავრესი კი არის სწავლის მოტივაცია და მისი განმაპირობებელი ფაქტორები.

ცნობისმოყვარეობა, თვითრწმენა, მოთხოვნილებები ეს გახლავთ მცირედი, თუმცა მნიშვნელოვანი ჩამონათვალი იმ შიდაპიროვნული ფაქტორებისა, რომლებიც განაპირობებენ მოტივაციას. დავახასიათოთ რამდენიმე მათდანი:

1) რომ არა ცნობისმოყვარეობა ჩვენი ცხოვრება სრულიად უინტერესო იქნებდა. სწორედ ცნობისმოყვარეობა აღძრავს ადამიანებში ინტერესს და ლტოლვას სიახლეებისა და თავსატეხებისკენ. სწავლა-სწავლებაც კი ყველაზე ეფექტური არის მაშინ, როდესაც მოსწავლეებს უჩნდებათ ინტერესი. მასწავლებლის უმთავრეს ამოცანაა მოსწავლეში გააღვიძოს ცნობისმოვარეობის გრძნობა, რაც შემდგომ გამოიწვევს ინტერეს შესასწავლი საგნის მიმართ.

2) სწავლისადმი დადებითი განწყობის შესაქმნელად მნიშვნელოვნი პირობაა თვითრწმენაც. თუ მოსწავლე დარწმუნებული იქნება თავის შესაძლებლობებში და ზოგადად საკუთარ თავში ის აქტიურად ჩაერთვება სასწავლო პროცესში. წარმატების განცდა მოსწვლესა და ზოგადად ადამიანებს აღუძრავს სურვილს მიაღწიონ უფრო და უფრო მეტ მიზანს.

3) მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები შესაძლებელია ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდეს. ამასთან დაკავშირებით ცნობილია ამერიკელი ფსიქოლოგის აბრაჰამ მასლოუს კლასიფიკაცია, რომელიც მოთხოვნილებათა 5 კატეგორიას გამოყოფს. 1. ბიოლოგიური (მაგალითად წყურვილის, კვების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება) მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების (დაცულობის განცდა...) მოთხოვნილება; 3. კუთვნილებისა და სიყვარულის (ოჯახის, ემპათიის...) მოთხოვნილება; 4. საკუთარი თავის პატივისცემისა და აღიარების (წარმატება, რეპუტაცია...) მოთხოვნილება; 5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება.

   მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიულ მოდელში უმაღლეს საფეხურზე განიხილება პიროვნების განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მოთხოვნილებები. განათლების მიზნებიც ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლეების ისეთი უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისკენ,

როგორებიცაა გუნდური მუშაობის უნარი, სხვისი აზრის მოსმენა და გაზიარება, სოციალური აზროვნება, თვითრეალიზება და ასე შემდეგ.

განხილული ფაქტორებიდან გამომდინარე ფაქტია, რომ მრავალფეროვანი მოტივაციის წყაროებიდან თითოეული გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათ წარმატებაში.

მოტივაციის მართვა და უცხო ენის შესწავლა არის სწავლების მეთოდიკის მთავარი, ცენტრალურ პრობლემა. მოტივაცია ეს არის საერთო დასახელება იმ პროცესების, მეთოდებისა და საშუალებებისა რომლებიც ხელს უწყობენ პროდუქტიულ შემეცნებით საქმიანობას.

1.3. მარია მონტესორის სწავლების მეთოდი

მარია მონტესორი დაიბადა 1870 წელს, იტალიაში. მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, იგი გახდა პირველი ექიმი ქალი თავისი ქვეყნის ისტორიაში.რამდენიმე წელიწადი მარია მონტესორიმ ბავშვებთან მოპყრობისა და ურთიერთობის საკითების შესწავლაში გაატარა.

მარია მონტესორიმ შეიმუშავა უჩვეულო სათამაშო მოწყობილობები, მთელი რიგი ვარჯიშები ნატიფი მოტორიკის განვითარებისთვის და დაკვირვების შედეგად აღმოაჩინა თანამედროვე მეცნიერებათა მიერ დადასტურებული კანონზომერება : რაც უფრო სხარტია ბავშვის ნატიფი მოტორიკა და რაც უფრო მეტი საგნის მეშვეობით, ანუ შეგრძნებით ეუფლება იგი გარე სამყაროს, მით უფრო მარტივად და სწორად სწავლობს მეტყველებას, წერა-კითხვას.

მონტესორის განათლების სისტემაში შქმნილია სპეციალური პირობები. რათა ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა მოტივაცია, ინიციატივა, კონცენტრაცია, თვითრეგულაცია, დამოუკიდებლობა, თანაგრძნობა, გახდეს ბუნებრივი მოვლენა. ყოველი მახასიათებელი ბავშვში ბუნებრივად დევს.

მონტესორის მეთოდები აქტუალობას არ კარგავს 21-ე საუკუნეშიც. მას საკმაოდ აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სკოლებში უცხო ენისა თუ სხვა საგნების დაუფლებასა და მოტივაციის ამარლებისთვის.

მონტესორი ეს არის მეთოდი, რომელიც ემყარება თვითგანვითარებად და თვითრეგულირებათ აქტივობებს - პრაქტიკისა და თამაშის კავშირი. მონტესორის საკლასო ოთახებში მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ ასაკის შეაბამის აქტივობებს, ისინი კი აკეთებენ კრეატიულ არჩევანს. ბავშვები მუშაობენ ჯგუფურად და ინდივიდუალურად იმისთვის, რომ გაიღრმავონ ცოდნა და მაქსიმალურად განავითარონ თავიანთი პოტენციალი.

მონტესორის საკლასო ოთახები მოსწავლეების ასაკის შესაბამისად ძალიან ლამაზად არის მორთული. მარია მონტესორიმ აღმოაჩინა, რომ ექსპერიმენტული სწავლება ასეთ საკლასო ოთახში აღუძრავს მოსწავლეებს მეტ მოტივაციას და ინტერესს უცხო ენების, მათემატიკის, მეცნიერების, მუსიკისა და სხვა საგნების შესწავლაში.

ყოველი საგანი მონტესორის კლასში ემსახურება ბავშვის განვითარებას, ისინი ქმნიან კავშირს მოსწავლეების ინტერესებსა და ხელმისაწვდომ აქტივობებს შორის. ბავშვებს შეუძლაოთ ისწავლონ მათ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით მათთვის სასურველ ტემპში.

მონტესორის ასოციაცია დაარსდა 1929 წელს თავად მარია მონტესორის მიერ იმისთვის, რომ დაეცვა თავისი საქმის ჭეშმარიტება და მხარი დაეჭირა მასწავლებელთა და სკოლათა მომზადების მაღალი სტანდარტებისთვის.

მომტესორის მეთოდი მოსწავლეებში აღვიძებს შინაგან მოტივაციას სწავლისადმი, ავითარებს დამოუკიდებლობას, კომუნიკაციურ უნარებს და სხვა.

დასკვნა

პირველი თავის მიხედვით შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მოტივაციას ერთგვარი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ის არის მთავარი მამოძრავებელი ძალა მიზნისკენ. მოტივაცია ადამიანს უფრო სიცოცხლისუნარიანს, უფრო სავსეს და აქტიურს ხდის. განათლების სფეროში მოტივაციას ერთგვარი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. როდესაც მოსწავლე მოტივირებულია, ეს პირველ როგში მის აქტიურობაზე, და საბოლოოდ, ცოდნაზე აისახება.

მთავარია ასევე, მოსწავლე მოტივირებული იყოს შინაგანად და არ გახდეს დამოკიდებული გარეგან იმპულსებზე. თავის მხრივ პედაგოგი უნდა აფასებდეს მოსწავლის ძალისხმევას, უნდა იყოს მეგობრული და გამგებიანი, მოსწავლეებს აუცილებლად უნდა აუხსნას თუ რისთვის სჭირდებათ მათ სწავლა გამათლება.

მოტივირებული მოსწავლეები უფრო აქტიურნი, დამოუკიდებელნი, თვითდაჯერებულნი არიან და მიილტვიან წარმატებისაკენ.

ცნობისმოყვარეობა, თვითრწმენა, მოთხოვნილებები, ეს ის ფაქტორებია რომლებიც მოტოვაციის ამაღლებას უწყობენ ხელს და თითოეულ მათგანს გადამწყვეტი როლი აკისრია.

II თავი

უცხო ენის როლი და აქტუალობა 21-ე საუკუნეში

2.1. რამდენად აქტიურად და რა მიზნით შეისწავლიან უცხო ენებს

21-ე საუკუნეში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხო ენების ცოდნას. თითქმის არ მოიპოვება სფერო, რომელიც არ ითხოვს ერთი უცხო ენის ცოდნას მაინც, მინიმალურ დონეზეც კი.

უცხო ენებს სხვადასხვა მიზნით შეისწავლიან. ზოგს ის დასაქმებისთვის სჭირდება და ალბათ დამეთანხმებით დღევანდელ სინამდვილეში ძალიან რთულია დასაქმდე უცხო ენების გარეშე, მითუმეტეს როდესაც საქართველო ტურისტულ ზონას წარმოადგენს, ზოგს მოგზაურობისთვის, ზოგისთვის კი ეს უბრალოდ ჰობია. უცხო ენების ცოდნა გვეხმარება კომუნიკაციის დამყარებაში, მეგობრების გაჩენაში და ასე შემდეგ.

ყველაზე მარტივი და უბრალო მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ცხოვრება თანდათან მარტივდება, საზოგადოება უფრო და უფრო აქტიურად მოიხმარს ინტერნეტს, სადაც ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვება შეიძლება, სამწუხაროდ ქართულ ენაზე ინფორმაცია ძალიან მწირია ონლაინ სივრცეში, შესაბამისად დგება იმის საჭიროება, რომ ვფლობდეთ უცხო ენებს.

უმთავრესი მიზეზი რის გამოც უცხო ენას შეისწავლიან ეს არის კონტაქტის დამყარება ამ ენაზე მოლაპარაკეებთან. როდესაც იცი სხვა ქვეყნის მცხოვრებთა ენა, ჩვენ შეგვიძლია მათი საუბრის გაგება და მათთან დიალოგის დამყარება. სიამოვნებით წავიკითხავთ ამ ენაზე დაწერილ სხვადასხვა წიგნებსა თუ სტატიებს, ვუყურებთ ამ ენაზე გადაღებულ ფილმებს.

ბიზნესის სფერო ვითარდება და იზრდება შესაბამისად საერთაშორისო კავშირის დასამყარებლად აუცილებელია უცხო ენის ცოდნა. მას შევისწავლოთ როგორც სკოლებში, ასევე კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

უცხო ენების ცოდნა ნამდვილად იძლევა რაღაც ახალი სამყაროს აღმოჩენის საშუალებას აფართოებს ადამიანის შესაძლებლობებს. ეს შეიძლება შევადაროთ გემს, რომელში მყოფი ადამიანებიც აღმოაჩენენ ახალ კონტინენტებს. სულაც არ არის გასაოცარი, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ცდილობს დაეუფლოს უცხო ენებს.

ყოველი ახალი თაობის დროს იცვლება ცხოვრების სტილი, მიზნები, ამბიციები, გატაცებებ და ასე შემდეგ. დღესდღეობით ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც უცხო ქვეყნებში სწავლა, ცხოვრება და მუშაობა ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა. დღევანდელი თაობა დიდ ინტერესს იჩენს იმ ყველაფრის მიმართ, რაც უცხოურია და ამ თაობას აქვს ყველანაირი შესაძლებლობა იმისა, რომ მიზნებს მიაღწიონ, აისრულონ ოცნებები. უცხო ენის ცოდნა უმთავრესი მოთხოვნაა მოგზაურობისა და სიახლეების აღმოჩენისთვის.

2.2. უცხო ენის შესწავლა და ასაკობრივი თავისებურებანი

უცხო ენა ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია. მთავარი მიზანი უცხო ენების შესწავლისა გახლავთ თავისუფალი, ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები პიროვნების აღზრდა, რომელი საზოგადოების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში აუცილებლად შეიტანს თავის წვლილს. (http://ncp.ge/)

მოსწავლეები ეუფლებიან უცხო ენაზე მოსმენას, კითხვას, წერას, საუბარს, ეს კი ხელს შეუწყობს სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას. გარდა ამისა ისინი იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა კულტურის შესახებ და სწავლობენ მათ პატივისცემას.

დღესდღეობით ეროვნული სასწავლო გეგმა უცხო ენების შესწავლას დაწყებითი საფეხურიდანაც ითვალისწინებს. დამეთანხმებით ალბათ, რომ ეს გარკვეულ სირთულეებს ქმნის, თუმცა ყველაფერს თავისი არსებითი მიზანი და დანიშნულება აქვს. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის

სწავლების მთავარი მიზანი მოსწავლეთა მომზადებაა, რათა მათ მომდევნო საფეხურებზეც შეძლონ წარმატებული სწავლა. ამისთვის მან უნდა უზრუნველუყოს:

- მოზარდის ფსიქოემოციური და გონებრივი პოტენციალის განვითარება და ამოქმედება (აღქმა, ფანტაზია, მეხსიერება, წარმოსახვა და სხვა);
- დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება ადამიანების, საკუთარი თავის, სასკოლო საგნების, სწავლის, უცხო სამყაროს მიმართ;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარება, რომელთაგან სწავლის ამ ეტაპზე პრიორიტეტულია ყურადღების მობილიზება, ნებისყოფა, პატივისცემა და წესების დაცვა, სასწავლო ნივთების/საქმიანობის მოწესრიგება, თანამშრომლობა (მუშაობა წყვილად, გუნდურად, ჯგუფებში, ურთიერთდახმარება), შემოქმედობითობა (ესგ 2016:454).

ყველა ბავშვს აქვს ენის შესწავლის ხელშემწყობი უნარები. ასეთი უნარებია მიმბაძველობა, ზეპირობის უნარი, მექანიკურად დამახსოვრების უნარი, ინტონაციის ზუსტი ინტერპრეტაცია, თამაშით დასწავლა და სხვა. პედაგოგის მოვალეობაა დააკვირდეს ენის შემსწავლელებს და განავითაროს მათში ესა თუ ის უნარი.

ასაკის მატებასთამ ერთად მოსწავლეებს აღარ უწევთ ზეპირობა, მათ უკვე შეუძლიათ ინტერპრეტაცია, აქვთ ლექსიკური მარაგი, კითხულობენ ინტერესით, აკეთებენ პრეზენტაციებს, წერენ თემებს, ცდილობენ ამა თუ იმ უცხო ენაზე კომუნიკაციის დამყარებას.

როდესაც საქმე გვაქვს უცხო ენის მუსიკით სწავლებასთან ასაკის გათვალისწინება ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. თუ მოსწავლეები არიან დაწყებით კლასებში, სავარაუდოდ საჭირო იქნება ადვილად გასაგები და აღსაქმელი სიმღერები და რიტმული ტექსტები ხშირი გამეორებებით. საბაზო საფეხურზე არჩევანი შედარებით დიდი და მარტივია. ამ შემთხვევაში შეგვიძლია, თავად მოსწავლეებს მივცეთ არჩევანის გაკეთების უფლება, იმის მიხედვით თუ რა იქნება მათთვის უფრო საინტერესო.

უცხო ენის შესწავლისას შედეგზე ორიენტირებული, მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების, მათი ასაკისა და ენობრივი დონის შესაბამისი, მიზანმიმართული და კომპეტენტური მასწავლებლის მიერ შემუშავებულ სწავლების პროცესს ნამდვილად შეუძლია მოსწავლის სასურველ შედეგებამდე მიყვანა.

აუცილებელი პირობაა სასწავლო მასალა და მეთოდები, რომლებსაც გაკვეთილზე ვიყენებთ, აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, ინტერესებს, დასწავლის სტილს, და სხვ.

„ბავშვის ასაკობრივ ზრდასთან ერთად, იცვლება ბალანსი ე. წ. "attitude goals"(მიმართებითი მიზნები) და "content goals"(შინაარსობრივი მიზნები) შორის. თუკი დაწყებით კლასებში უმთავრესი პირველი მათგანია, სწავლების გვიან ეტაპზე მეორე მათგანი ხდება დომინანტი. ვინაიდან, აუცილებელია ბავშვს პატარაობიდანვე ჩამოუყალიბდეს ისეთი თვისებები, როგორიცაა: თავდაჯერებულობა, გამბედაობა, წინსვლის სურვილი. თუკი დაწყებით კლასებში არ მოხდება ენის მიმართ დადებითი და თავდაჯერებული განწყობის ჩამოყალიბება, მაშინ ეს ერთგვარ ხელის შემშლელ ფაქტორად გადაიქცევა მასწავლებლისთვის მაღალ კლასებში.” (ჰალიველი, 1992:10).

2.3. სახელმძღვანელოს როლი მოტივაციის განვითარებისათვის

სასწავლო რესურსი უცხო ენის სწავლება/სწავლის მთავარი შემადგენელი ნაწილია. უცხო ენის, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი საგნის, სწავლებისას რესურსების გამოყენება ძირითადად სახელმძღვანელოს გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში სახელმძღვანელო არის იმ ენობრივი მასალისა და პრაქტიკის საფუძველი, რომელსაც მოსწავლეები საკლასო მუშაობის დროს ღებულობენ. საგანამანათლებლო სისტემა ცდილობს შეცვალოს სწავლების მეთოდები და გახადოს ისინი მოსწავლეებზე მაქსიმალურად მორგებული. დღესდღეობით გაკვეთილის დაწყებისთანავე ძირითადი სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოდანაა აღებული და შესაბამისად, საკლასო აქტივობების მთავარი წყაროც სახელმძღვანელოა. მოსწავლეები სწავლობენ იმას და ითვისებენ იმ მეთოდებით, რა მეთოდებითაც სახელმძღვანელო წარადგენს მასალას.

რადგან ინგლისური უშუალოდ ჩემი პროფესიაა და სახელმძღვანელოებთანაც მქონია შეხება ვისაუბრებ ინგლისურის ენის ჭრილში.

სახელმძღვანელო ინგლისური ენის გაკვეთილების მთავარი სასწავლო რესურსია. მასწავლებლების უმეტესობა ეყრდნობა სახელმძღვანელოს, რადგან იგი საკლასო ოთახში განხორციელებული ძირითადი აქტივობების მთავარი წყაროა. სახელმძღვანელო მოსწავლეებს ცოდნას მოწესრიგებული ფორმით აწვდის. შესაბამისად მოსწავლეების უმეტესობა, რომელიც სახელმძღვანელოებით მუშაობს თავს უსაფრთხოდ გრძნობს და აქვს წარმატების მიღწევის შეგრძნება. სახელმძღვანელო ავითარებს მოსწავლეების ენობრივ და კულტურულ ცოდნას.

ახალბედა მასწავლებლებისთვის სახელძღვანელო არის კურსისა და აქტივობების მთავარი გზამკვლევი. ის უზრუნველყოფს გაკვეთილის ერთიანობას, სტრუქტურასა და მის ლოგიკურ განვითარებას.

სახელმძღვანელო აძლევს მასწავლებლებს იმის საშუალებას, რომ მათ გაკვეთილის დაგეგმვასა და თავიანთი შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოყენებას მეტი დრო დაუთმონ. სახელმძღვანელოების წყალობით მასწავლებლები უფრო თვით-დაჯერებულნი არიან.

რა თქმა უნდა არსებობს ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებშიც სრული შეუსაბამობაა მოსწავლეების ძირითად საჭიროებებსა და მასში მოცემული მასალის შინაარსს შორის. გარდა ამისა, სახელმძღვანელოები ძირითადად ადვილად პროგნოზირებადი და შაბლონურია, მოიცავს მოძველებულ, მოსწავლეების ასაკსა და კულტურასთან შეუსაბამო მასალას.

სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილები არაორგანიზებული და ქაოტურია, მასწავლებლებს სჭირდებათ შესაბამისი მომზადება და ტრენინგები.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ სხვა მრავალ და მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად სახელმძვანელოც დიდ როლს ასრულებს მოტივაციის ზრდაში.

თუ სახელმძღვანელო ნაკლებ ილუსტრირებული, უხალისო ფერებით არის გაწყობილი მოსწავლის მოტივაცია ქვეითდება. მოსწავლეები უკეთ იმახსოვრებენ იმას, რასაც ხედავენ.

უცხო ენის სწავლებას უფრო სახალისოს და მარტივს ხდის ახსნილი მასალის ვიზუალური წარმოდგენა. ბარათები და პოსტერები ამის საუკეთესო საშუალებაა.

სწორედ ამაზე დაყრდნობით არის შედგენილი დაწყებითი კლასის მოსწავლეთა უცხო ენის სახელმძღვანელოები.

ეროვნული სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში დღევანდელ ქართულ სკოლაში ძირითადად აღიარებულია შემდეგი სახელმძღვანელოები: „New Building Blocks" დაწყებით საფეხურზე და "New Building Bridge" საბაზო საფეხურზე, რომლებიც მეტნაკლებად პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელმძღვანელოები შექმნილია ხორვატიის რესპუბლიკაში, აქედან გამომდინარე, მათში გათვალისწინებულია ხორვატი მოსწავლისათვის არსებული გამოწვევები უფრო მეტად, ვიდრე სხვა სახელმწიფოს, მით უმეტეს ქართველი მოსწავლის საჭიროებები. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ არსებული სახელმძღვანელოები გადახედვას ექვემდებარება, რათა ისინი მორგებული იყოს ჩვენი სახელმწიფოს სრულყოფილი მოქალაქის ჩამოყალიბებისათვის გამიზნულ მოთხოვნილებებზე, რადგან მათში მოცემული ინტერკულტურული ელემენტები, ან კულტურათაშორისი დიალოგის საწყისები ჩვენი სახელმწიფოს პოზიციიდან იყოს გააზრებული და გათვალისწინებული. შემეცნებითთან ერთად, სახელმძღვანელოს ერთერთი დანიშნულება მოსწავლეებში საგნის შესწავლისადმი მოტივირებული მიდგომის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობაც გახლავთ.

რაც შეეხება მაღალ კლასებს, აქ ჯერჯერობით ისევ ძველი, მაკმილანის სახელმძღვანელოებით ისწავლება, აქ ორი ვარიანტია შემოთავაზებული და სკოლები თავად აკეთებენ არჩევანს "Gateway"s და "Activate" სერიათა კომპლეტებს შორის, თუმცა მათი ჩანაცვლებაც იგეგმება. იმედს ვიტოვებთ, რომ ახალი სახელმძღვანელოები თანხვედრაში იქნება ჩვენი თანამედროვე განათლების სისტემის და კერძოდ, ინგლისირი ენის სწავლების გამოწვევებთან.

2.4. მოტივაციის ამაღლების დამატებითი საშუალებები

არსებობს ინგლისური ენის შესწავლის წამახალისებელი უამრავი მეთოდი.

1. ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით სავსე ატმოსფეროს შექმნა და რწმენა ბავშვების შესაძლებლობებში

ამისთვის აუცილებელია მასწავლებელი თავად იყოს მაგალითი იმ ტიპის ადამიანისა, რომელიც ოპტიმისტურად არის განწყობილი, როგორც მოსწავლეების ასევე კოლეგების მიმართ. აუცილებელია მოსწავლეებს დაუსახო ან თავად მისცე საშუალება დაისახონ შესრულებადი, რეალური მიზნები. ამასთანავე უნდა აჩვენო მაგალითი მიზნების მიღწევისთვის საჭირო გზებისა.

2. მიმოწერა მოსწავლეებსა და მათ ინგლისურენოვან თანატოლებს შორის

მიმოწერა მოსწავლეებსა და მათ ინგლისურენოვან თანატოლებს შორის ერთ-ერთი უწყინარი მეთოდია, რომელიც ნამდვილად ამართლებს ზოგიერთი მოსწავლის შემთხვევაში. გარდა იმ კულტურული, ისტორიული და ცხოვრებისეული ინფორმაციისა რომლებსაც ისინი იღებენ, მათ ეძლევათ საშუალება მიიღონ პრაქტიკა ენასთან მიმართებაში. ამერიკელის მიერ დაწერილი შეტყობინების გადათარგმნა არც ისე მარტივია მოსწავლეებისთვის, სწორედ ეს უბიძგებს მათ და უღრმავებს მოტივაციას, იმისკენ რომ შეისწავლონ კონკრეტული ენობრივი საკითხები და თემები. წერილების კითხვითა და თარგმნით მოსწავლეები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ერთსა და იმავე აზრს ჩვენ გამოვხატავთ მათგან სრულიად განსხვავებულად. ხშირად მათთვის ერთი შეტყობინება საკმარისია იმისთვის, რომ დაიმახსოვრონ გარკვეული აბრევიატურები, კლიშეები მაშინ როდესაც ჩვეულებრივ მათ დამახსოვრებას ერთი ან ხშირ შემთხვევაში ორი გაკვეთილი მაინც სჭირდება. მიმოწერა ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს და ხელს უწყობს წერითი უნარ-ჩვევების სრულყოფას. ყველაფერთან ერთად მოსწავლეები ითვისებენ ისეთ ლექსიკას, რომელიც გაცილებით აქტუალურია მათი ასაკის ბავშვებისთვის.

3. შეხვედრები და დისკუსიები უცხო ენაზე მოლაპარაკეებთან

შეხვედრები და დისკუსიები უცხო ენაზე მოლაპარაკეებთან კიდევ ერთი სტიმულია, რომელიც ზრდის ინტერესს ინგლისური ენის სწავლისადმი.

დისკუსიები როგორც წესი იმართება გარკვეული თემატიკის ირგვლივ, ჩვეულებრივ ირჩევენ ისეთ თემებს რომლებიც ამაღელვებელია მოცემული ასაკობრივი ზღვარისთვის ან საუბარი იმართება კითვა პასუხის რეჟიმში, რომლის დროსაც შეიძლება ნებისმიერი თემატიკის კითხვის დასმა. ასეთი დისკუსიების დროს მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ პრაქტიკაში გამოიყენონ ენა და შეაფასონ თავიანთი ცოდნა, ეს ბევრს უღრმავებს უცხო ენის პრაქტიკულ ცოდნას. მათ, ვისაც უკვე შეუძლია თავისუფლად საუბარი, ეძლევათ საშუალება შეისწავლონ აზრის მტკიცედ და არგუმენტირებულად გამოხატვა.

4. აზარტული სასწავლო თამაშების დანერგვა

აზარტული სასწავლო თამაშების დანერგვა გაკვეთილებზე არამხოლოდ აგვარებს მოტივაციასთან დაკავშირებულ პრობლემას, არამედ აღრმავებს ლექსიკურ და გრამატიკულ ცოდნასაც. ჯგუფური სამაგიდო თამაში „ლექსიკური კონსტრუქტორი" ინგლისური ენის თამაშით შესწავლის და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. თამაშისთვის მასწავლებელი შესაბამისად უნდა მოემზადოს, მას დასჭირდება რამდენიმე ბარათი. თითოეულ ბარათზე იწერება ინგლისური სიტყვა: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი. თითოეული სიტყვა უნდა აიხსნას მსგავსი რამდენიმე სიტყვით.

თამაშის პროცესში ხდება კომბინაციების შედგენა. აუცილებელია სიტყვების თანხვედრა, რადგან უნდა მოხდეს კომბინაციების შედგენა, თანაც თამაშის დროს ხდება ბარათების გაცვლა. ვფიქრობ გაკვეთილის მომზადებას იდეალურად შეესაბამება აბრაამ ლინკოლნის სიტყვები: "თუ ხის მოსაჭრელად მომცემენ 8 საათს, 6 საათს ცულის მოსალესად გამოვიყენებ."

5. გაზეთებთან მუშაობა

ინგლისური ენის სწავლების ერთ-ერთი მიზანი არის მოსწავლეების ცოდნის დონის მიახლოვება ევროპულ სტანდარტებთან. ენაზე დაუფლება შეუძლებელია იყოს წარმატებული ამ ენობრივი კულტურისა და ენაზე მოლაპარაკე ხალხის გარეშე, ამასთან გაზეთები ქმნიან ბუნებრივი დაინტერესების მიზეზს და ასევე არის კულტურის ნაწილი. საგაზეთო მასალების გამოყენება უკავშირდება რამდენიმე მიზეზს:

პირველ რიგში საგაზეთო ლექსიკა საკმაოდ აქტუალური და თანამედროვეა. მისი გამოყენებით მოსწავლეები ითავისებენ სტილისტიკას და ლექსიკურ ცვლილებებს ენაში.

ინფორმაცია, რომელსაც შეიცავენ სტატიები, ეხმარება მოსწავლეებს გაერკვნენ თანამედროვე საზოგადოებრივ ტენდენციებში, იზრდება მათი კულტუროლოგიური კომპეტენცია.

სტატიები შეიცავენ სადისკუსიო საკითხებს, რომლებიც ეხმარებიან მოსწავლეებს დისკუსიების მოწყობაში და ამასთანავე ავითარებენ სასაუბრო უნარებს.

სტატიებთან მუშაობისას უნდა განვითარდეს კომპლექსური მიდგომის უნარები: მოსწავლემ უნდა შეძლეს სხვადასხვა ტიპის ტექსტებთან მუშაობა, ეს არის ერთგვარი ვარჯიში სიტყვებისა და კონტექსტის შერჩევისა, სტატიების გამოყენება და დისკუსიები საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოთქვან თავიანთი მოსაზრება და საერთო ჯამში გაიუმჯობესონ სამეტყველო უნარები.

6. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება გახლავთ ინგლისური ენის საგაკვეთილო პროცესის ოპტიმიზაციისა და სრულყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, ისინი ამდიდრებენ საგაკვეთილო ხელსაწყოებს, ამრავალფეროვნებენ სამუშაოებს და ხდიან გაკვეთილს უფრო საინტერესოს, დასამახსოვრებელს.

თანამედროვე მასწავლებლები ეფექტურად უნდა იყენებდნენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში. ზოგიერთ ტექნიკას თითქმის ყველა მასწავლებელი იყენებს.

მაგალითად:

ა) ფართოდ გამოიყენება პრეზენტაციები. ისინი მოსახერხებელი არიან, როგორც მასწავლებლებისთვის ასევე მოსწავლეებისთვისაც. პრეზენტაცია ტექსტის გარდა შეიძლება მოიცავდეს სურათებს, გრაფიკას, ცხრილებს, ვიდეოებს და მუსიკას.

ბ)უფრო და უფრო ცნობილი ხდება კომპიუტერული ტესტირება. კონტროლის ეს მეთოდი იწვევს გარკვეულ ემოციებს მოსწავლეებში, რადგან ეს ცოდნის შემოწმების არატრადიციული ხერხია.

გ) მოსწავლეთა ინტერესის ზრდის კიდევ ერთი მაგალითია საგაკვეთილო პროცესში ელექტრონული წიგნების გამოყენება. ისინი გაკვეთილს უფრო მიმზიდველს ხდიან, გაკვეთილის ვიზუალიზაციას ახდენენ მულტიმედიური ელემენტებით, პოსტერებისგან განსხვავებით შესაძლებელია გარკვეული შესწორებების გაკეთებაც.

7. დისტანციური ოლიმპიადები

დისტანციურ ოლიმპიადებში მონაწილეობა გახლავთ სწავლების ეფექტური გზა, რომელიც ამაღლებს თვითრეალიზაციას. დისტანციური ოლიმპიადები ზრდიან მოსწავლეთა მოტივაციას, შეამოწმონ თავიანთი ცოდნა. ასეთი სახის ოლიმპიადებში მონაწილეობა აღრმავებს მიღებულ ცოდნას, ავითარებს მათ შემოქმედებით უნარებს და ამასთანავე ავლენს ისეთ მოსწავლეებს, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან უცხო ენის შესწავლით. მოსწავლეები, რომლებიც ოლიმპიადებში იღებენ მონაწილეობას დაინტერესებულნი არიან თვითგანათლებით, რადგან, იმ შემთხვევაში თუ მათ არ ექნებათ რაიმეზე მზა პასუხი ისინი იწყებენ თავიანთი აზრის ჩამოყალიბებას.

8. მუსიკა

მუსიკა- ეს არის ერთ-ერთი ძლიერი ხერხი, რომელიც ზემოქმედებს მოსწავლეთა გრძნობებსა და ემოციებზე. მუსიკამ და სიმღერამ შეიძლება შეუფასებელი გავლენა იქონიოს ენის შესწავლაზე. სიმღერა იწვევს ენთუზიაზმის მოზღვავებას და წარმოადგენს სასიამოვნო და ამავდროულად მასტიმულირებელ მიდგომას სხვადასხვა ქვეყნების კულტურის შესწავლაში. კარგი სიმღერები დაუვიწყარია, გრამატიკული სტრუქტურებისგან განსხვავებით, რომლების ქრებიან გონებიდან გაკვეთილის დასრულებისთანავე, სიმღერები დიდხანს დამახსოვრებადია და შესაძლოა ვიღაცის კულტურის ნაწილიც კი გახდეს. მაშ რა უპირატესობები აქვს მუსიკის გამოყენებას ინგლისური ენის შესწავლისას?

სიმღერები უზრუნველყოფენ უფრო კარგ დამახსოვრებას და ლექსიკური მარაგის გაფართოებას.

სიმღერებში ნაცნობი სიტყვები გვხვდება ახალ კონტექსტებში. სიმღერებით მარტივია გრამატიკული კონსტრუქციების დამახსოვრება.

სიმღერების გამოყრნება ხელს უწყობს:

წარმოთქმის, როთმისა და ინტონაციის გაუმჯობესებას. ამდიდრებს ლექსიკას, ამყარებს კითხვისა და აუდირების უნარებს. ასტიმულირებს მონოლოგიურ და დიალოგიურ გამოხატვებს. ხელს უწყობს, როგორც სპონტანური ასევე მომზადებული სიტყვების გამოყენებას.

9. ლექსების მხატვრული თარგმანი

მხატრული თარგმანი ზრდის მოტივაციას სხვადასხვა დონის ცოდნის მქონე მოსწავლეებში. ეჭვგარეშეა, რომ შემოქმედებითი საქმიანობა ზრდის ენის შესწავლის მოტივაციას. უდაოდ, ასეთი თარგმნის დროს ვითარდება ფილოლოგიური შესაძლებლობები და მდიდრდება ლექსიკური მარაგი.

10. თამაშები

თამაში არის ყველაზე ძლიერი მამოტივირებელი ფაქტირი სწავლის დროს. თამაში, განსაკუთრებით კი როლური თამაშები უფრო აქტიურს ხდის სასწავლო პროცესს. თამაში ხელს უწყობს ენის შესწავლის გაუმჯობესებას პრაქტიკული კუთხით, ასეთი თამაშები იძლევიან რეალურად კონტაქტის დამყარების საშუალებას. თამაში უდაოდ ზრდის მოტივაციასა და ინტერესს უცხო ენის შესწავლის მიმართ არამარტო დაბალ კლასებში არამედ უფროსკლასელებშიც.

როლური თამაშები მოტივაციას უკეთებენ საუბრის გამოყენებას, რადგან თამაშის დროს იქმნება ისეთი ვითარება, როდესაც აუცილებელია რაღაცის წარმოთქმა. მოსწავლეები რწმუნდებიან იმაში, რომ ენის გამოყენება შეიძლება, როგორც საკონტაქტო საშუალება.

თამაში იძულებულს ხდის მოსწავლეებს ისაუბრონ და ამით ეხმარებიან ისეთ მოსწავლეებს, რომლებსაც დაქვეითებული აქვთ თვითშეფასებისა და

თავდაჯერებულობის შეგრძნება. როლურ თამაშებში ყველა მონაწილეს აქვს თავისი სიტყვა და ყველა მონაწილე უნდა იყოს აქტიური. ასეთ თამაშებში მოსწავლეები იძენენ ისეთ უნარებს, როგორებიცაა საუბრის წამოწყება, მისი გაგრძელება, მოსაუბრის შეყოვნება, საჭირო დროს ვიღაცის აზრის გაზიარება და დათანხმება, კითხვების დასმა და ასე შემდეგ.

იმისთვის, რომ დავაინტერესოთ მოსწავლეები უცხო ენების შესწავლით აუცილებელია სასწავლო პროცესი ისე წარვმართოთ, რომ მათში გამოვიწვიოთ მოტივაციის მაღალი მაჩვენებელი და ვუზრუნველყოთ მათი აქტიურობა გაკვეთილზე.

დასკვნა

მეორე თავის მიხედვით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ დასკვნა, 21-ე საუკუნეში წარმოუდგენელია ადამიანი რომელმაც არ იცის ერთი უცხო ენა მაინც. იმისთვის, რომ იყო წარმატებული, დასაქმებული, შეძლო მოგზაურობა, უცხო ენოვან ადამიანებთან კონტაქტის დამყარება, ან კიდევ ყველაზე მარტივი, სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვება ვებ გვერდებზე აუცილებელია ფლობდე უცხო ენებს. ისევ და ისევ განვმეორდები „რამდენი ენაც იცი იმდენი კაცი ხარო."

უცხო ენის შესწავლისას უამრავი რიგი ფაქტორია გასათვალისწინებელი, რომელთაგან უპირველესი ასაკობრივი თავისებურებანია. უცხო ენის შესწავლისას სახელმძღვანელოები, მეთოდები, მიდგომები უნდა იყოს მორგებული მოსწავლის ასაკზე, მის მოთხოვნილებებზე, ყოველივე ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ენის დამწყებ შემსწავლელებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სურვილიც კი არ ექნებათ შეისწავლონ რაიმე ახალი და შესაბამისად დაუქვეითდებათ მოტივაციაც.

ასაკთან ერთად უდიდეს როლს ასრულებს სახელმძღვანელოც, რომელიც ერთგვარი გზამკვლევია. მან უნდა უბიძგოს მოსწავლეს გარკვეული მიზენებისკენ და შეუქმნას ამ მიზნის მისაღწევად სტრატეგიები. იგი უნდა იყოს მიმართულების მიმცემი და წამახალისებელი თავისი სახალისო დავალებებით, თამაშებითა და საკითხავი ტექსტებით.

ყველაფერთან ერთად აუცილებელია დადებითი ატმოსფეროს შექმნა; უშუალო კავშირის დამყარება უცხო ენოვან მოსწავლეებთან, მათთან მიმოწერა; მათი შეტყობინებების გადათრგმნა; ჟურნალ-გაზეთებთან მუშაობა; სპეციალური თამაშების, დისტანციური ოლიმპიადების, ტექნოლოგიების დანერგვა; ლექსების მხატვრული თარგმანი და სხვა.

სწორედ ჩამოთვლილი მეთოდები უზრუნველყოფენ ფართე შემეცნებითი მოტოვების განვითარებას დაწყებითი კლასის მოსწავლეებში და სწორედ ეს ასაკი არის ამ მოტივების განვითარებისთვის შესაფერისი.

თავი III

უცხოური ენის შესწავლის ეფექტური მეთოდები და მოტივაციის ამაღლება

3.1. თამაშის როლი უცხო ენის სწავლებაში

ნებისმიერი სახის თამაშს, პედაგოგიური იქნება ის თუ არა, სამი ძირიადი მიმართულება აქვს: მოტორული, აფექტური და კოგნიტური. მოტორული ავითარებს მოტორულ უნარებს (მოძრაობა), კოგნიტური ადამიანს სძენს ცოდნას, ხოლო აფექტური ავითარებს დამოკიდებულებებს.

უცხო ენის სწავლა-სწავლებისას თამაშს რამდენიმე როლი აკისრია, ეს არის ლინგვისტური და კულტურის გადამტანი. თამაშის, როგორც სასწავლო მეთოდის, გამოყენებისას მთავარი არის შემსწავლელი, მნიშვნელოვანია მისი ინტერესები და შესაძლებლობები. თამაშის მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, ქმნის პოზიტიურ ატმოსფეროს, სწორედ ეს განასხვავებს ზემო ხსენებულ მეთოდს ტრადიციული პედაგოგიური მეთოდებისგან.

გაკვეთილზე თამაშის, როგორც კომუნიკაციური მიდგომის ერთ-ერთი სახეობის, გამოყენება აუმჯობესებს ზეპირმეტყველებას, სოციალურ უნარებსა და ინტერაქციას.

თამაშის საშუალებით ჯგუფური მუშაობა უფრო სახალისო ხდება, მარტივდება რთული სამუშაოების შესრულება.

უმთავრესი უპირატესობა უცხო ენის გაკვეთილზე თამაშების გამოყენებისა მოტივაციის ამაღლებაა. ამ დროს მონაწილე უშუალოდ ერთვება პროცესში, ეს კი თვითშემეცნებას უწყობს ხელს. ასე მაგალითად ინგლისური ენის გაკვეთილზე თამაშის განწყობა არა წმინდა ლინგვისტური შესაძლებლობების განვითარებას ისახავს მიზნად, არამედ „მოქმედებას და რეაქციას სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში“.

როგორ შევარჩიოთ თამაში?!

თამაშის არჩევისას მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა. მასწავლებელი აუცილებლად კარგად უნდა იცნობდეს თითოეულ ჯგუფს და ითვალისწინებდეს მათ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ისიც თუ რამდენად მიიღწევა ამა თუ იმ თამაშით დასახული მიზნები.

სასურველია ალტერნატიული გზების მოძებნაც, ამ ალტერნატიულმა გზებმა შესაძლოა დასახულ მიზნამდე უფრო საინტერესოდ მიგვიყვანოს.

გააზრებული უნდა იყოს საორგანიზაციო საკითხებიც, როგორებიცაა ჯგუფების მობილიზება, განლაგება და ა.შ.

უპირველეს ყოვლისა, აქტივობას უნდა ჰქონდეს გარკვეული მიზანი; რას ემსახურება თამაში - წერითი და ზეპირი უნარების განვითარებას თუ ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, ან კიდევ გრამატიკული ცოდნის გამყარებას. უნდა დაიგეგმოს ისიც, ჯგუფური იქნება თამაში თუ ინდივიდუალური. ჯგუფური მუშაობა საინტერესო უნდა იყოს როგორც დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთათვის, აგრეთვე მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთათვის.

გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

- თამაშისთვის სასურველი დროის შერჩევა;
- პოზიტიური გარემოს შექმნა;
- წესების ახსნა და გადამოწმება ყველასთვის გასაგებია თუ არა მითითებები;
- თამაშის დროს სასურველია მოსწავლეთა გამხნევება მეტი მოტივაციისათვის;

ბოლოს, აუცილებელია თამაშის შედეგების შეჯამება და მომავალი თამაშის იდეის დასახვაც.

3.2. მობილური ტელეფონების გამოყენება საკლასო ოთახებში

ვინაიდან და რადგანაც დღეს თითქმის ყველას აქვს ინტერნეტთან წვდომა ან უბრალოდ შეუძლია მისი გაზიარება, მობილურების აკრძალვა შესაძლოა გახდეს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობის ხელიდან გაშვების მიზეზი.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს მობილურები დღევანდელი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ბევრი მასწავლებელი გასართობ საშუალებად მიიჩნევს მობილურს და თვლის, რომ მოსწავლეები მათზე დამოკიდებულნი ხდებიან. არის კი ეს ლოგიკური დასკვნა?

დღესდღეობით შესაძლებელია მობილურში ჩავტვირთოთ ძალიან ბევრი სასარგებლო პროგრამა, მაგალითად ლექსიკონი, სათარგმნი და გრამატიკული აპლიკაციები. მოსწავლეებმა უნდა გაითავისონ, რომ როგორც კომპიუტერები, ასევე მობილური ტელეფონებიც უნდა გამოიყენონ არა სათამაშოდ, არამედ, როგორც სასწავლო ხელსაწყო.

შესანიშნავი გრამატიკული, ლექსიკური და მთარგმნელობითი პროგრამაა “wordreference.com”, რომელიც ხელმისაწვდომია მობილური ტელეფონების ეგრეთ წოდებულ ონლაინ მაღაზიაში (App Store) და Google Play აპლიკაციებში. გარდა თარგმნისა ამ პროგრამას აქვს ძალიან მდიდარი ლექსიკონი, რომელშიც მომხმარებელს რთულ სიტყვებზე შეუძლია გარკვეული კომენტარების დატოვება.

კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ აუმჯობესებს მობილური საგაკვეთილო პროცესს არის სავარჯიშო სახელად “ხარახურაში ნადირობა”. ამ დავალების მიხედვით სტუდენტებმა უნდა მოიძიონ სხვადასხვა ვებ გვერდზე საჭირო ინფორმაცია დავალების შესასრულებლად. მოსწავლეებს მობილურებით შეუძლიათ ისეთი უფასო სავარჯიშოების შესრულება, რომლებიც ამტკიცებენ მათ ენობრივ უნარებს, ან კიდევ ამყარებენ საკლასო ოთახში მიღებულ ცოდნას.

მთავარი აქ არის ის, თუ რამდენად კრეატიულად მიუდგები მობილურის გამოყენებას. სხვა მიზეზი მობილურის გამოყენებისა საგაკვეთილო პროცესში შეიძლება იყოს კითხვარის შესადგენი აპლიკაციები, კვლევები და ხმის ჩამწერი პროგრამები, დიახ ხმის ჩამწერი! მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ხმის ჩაწერა, რაც შესანიშნავი საშუალებაა შეაფასო საკუთარი თავი კონკრეტულ დავალებებსა თუ მოქმედებაში.

Survey Monkey არის კიდევ ერთი სასარგებლო აპლიკაცია, რომელიც უნდა გახადო ინგლისურის გაკვეთილს ნაწილი.

ის გაძლევს საშუალებას შეადგინო კითხვარი, რომელსაც სხვა მოსწავლეები მარტივად დაუკავშირდებიან თავიანთი მობილურებით და გასცემენ პასუხს. ის შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც შეფასების წყარო ან პორტფოლიოს ნაწილი. მაგალითად მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ კითხვარი, შეავსონ ისინი, გაანალიზონ თავიანთი პასუხები და ჩამოაყალიბონ დასკვნები.

კიდევ ერთი შესაფერისი გამოყენება რაც მოვუძებნე მობილურებსა და ტაბლეტებს არ საჭიროებს ფურცლებს. თუ მოიპოვება იმ მასალების pdf ვერსიები, რაც ჩვენ გვჭირდება სასწავლო პროცესში უბრალოდ შეგვიძლია გავუმარტივოთ ცხოვრება მოსწავლეებს და ამავდროულდ არ მივაყენოთ ზიანი გარემოს.

განვმეორდები, აუცილებელია დავრწმუნდეთ იმაში, რომ მოსწავლეები ტექნიკას იყენებენ მხოლოდ საკლასო სამუშაოებისთვის და არ ხდებიან მათზე დამოკიდებულები.

უნდა აღინიშნოს ისიც, თუ რამდენად დიდი როლი შეასრულა ტექნიკამ განათლების სფეროში პანდემიის დროს. მობილურებმა და კომპიუტერებმა ხელი შეუწყეს სასწავლო პროცესის უწყვეტად წარმართვას. მართალია მოსწავლეთა ნაწილს პრობელემები შეექმნა ტექნიკური უზრუნველყოფის მხრივ მაგრამ, მაინც 90% აქტიურად ჩაერთო სასწავლო პროცესში.

3.3. ინგლისური ენის სწავლების მეთოდები და მოტივაცია

ინგლისური ენა საერთაშორისო ენად არის აღიარებული, ეს ზრდის მის მნიშვნელობას და შესაბამისად ახალ გამოწვევებსაც აყენებს პედაგოგიკის წინაშე. ძალიან სწრაფად იზრდება და მრავალფეროვანი ხდება სწავლების მეთოდები, გზები და მიდგომები.

ინგლისური ენა, როგორც საერთაშორისო ენა, მნიშვნელოვანი ფენომენია. მას მსოფლიო განიხილავს, როგორც ,,ლინგვა ფრანკას''. ინგლისური ენის მიმართ

ინტერესი გაზრდილია საქართველოს მასშტაბითაც. ამ ენის დაუფლება უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. შესაძლებელია ნებისმიერ სფეროში ახალი ცოდნის მიღება, რაც შესაბამისად წინ გადადგმული ნაბიჯია წარმატეებული მომავლისკენ.

მიუხდავად იმისა, რომ ინგლისურ ენას მოსწავლეები პირველი კლასიდან ეცნობიან და ეუფლებიან, მაინც წამოიჭრება ხოლმე მისი სწავლების მოტივაციასთან გარკვეული პრობლემები. ეს ხშირად გამოწვეულია იმით, რომ პედაგოგები არ მიმართავენ თანამედროვე სასწავლო აქტივობებს, რაც საკმაოდ ეფექტურია. მაგალითად მოვიყვან ხაშურის მე-4 საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგის ინგა თედეშვილის კვლევას, რომელმაც მოსწავლეების დაინტერესება შეძლო ისეთი მეთოდებით როგორებიცაა შებრუნებული საკლასო ოთახი, ინტეგრირებული გაკვეთილი, ჯგუფური სამუშაოები და სხვა. (https://ingatedeshvili.blogspot.com)

ქალბატონი ინგა კვლევაში გამოჰყოფს სწავლის მოტივაციის სხვადასხვა ფაქტორს. მაგალითად:

1. ცნობისმოყვარეობა:

ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა. ის გამუდმებით ახალი გამოცდილებების, თავსატეხების ძიებაშია, ცდილობს პრობლემების გადაჭრას. ყოველივე ეს ადამიანს ეხმარება გარემოსთან ადაპტაციაში.

სწავლა-სწავლება ეფექტურად მაშინ ითვლება, როდესაც იგი მიმართულია მოსწავლის ინტერესებისკენ. მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ. სწორედ ცნობისმოყვარეობა წარმოადგენს შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორს. ის გონებას უფრო აქტიურს ხდის, რომელიც შემდგომ ახალი იდეების წარმოჩენისკენ არის მიმართული.

აუცილებელია გარკვეული ბალანსის დაცვა მოსწავლის უკვე არსებულ კოგნიტურ სქემასა და ახალი დავალებების სირთულეს შორის, რათა მოსწავლემ დაუძლევლად არ მიიჩნიოს დავალების სირთულე.

მასწავლებელს მოსწავლეში ცნობისმოყვარეობი გასაღვივებლად შეუძლია პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოწოდებაც.

2. თვითრწმენა

თვითრწმენა მნიშვნელოვანი ფაქტორია, იგი სწავლისადმი პოზიტიურ განწყობას ქმნის. თუ მოსწავლე დარწმუნებულია საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ მიაღწევს დასახულ მიზანს, იგი აქტიურად ჩაერთვება სასწავლო პროცესში.

იმისათვის, რომ შევძლოთ მოსწავლეს თვითრწმენის განმტკიცება მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლეთა ცოდნის დონისა და კომპეტენციის შესახებ. მას შეუძლია დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს დადებითად განაწყობს. სასურველია სწავლების მარტივი დავალებებით დაწყება. შემდგომში მათი ადეკვატური შეფასება. სწორი შეფასებით მოსწავლის თვითრწმენა მხოლოდ გამყარდება.

მოსწავლეების ცოდნის შესაბამისი მასალის გამოყენებამ მათ გაუღვივა საკუთარ ძალებში რწმენა და მოეხსნათ შიში, უარყოფითი შეფასებისა და წარუმატებლობისა.

ყველაზე მთავარი რაც კვლევამ აჩვენა კი იყო ის, რომ მოსწავლეები იყვნენ უაღრესად მოტივირებულები და ეს მოტივაცია იყო არა მხოლოდ ჯილდოზე ორიენტირებული არამედ უფრო შინაგანი, სურვილებსა და ინტერესზე დაფუძნებული.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში პრიორიტეტად მიიჩნევა ენის შემსწავლელთა საჭიროებები, მოთხოვნები და ინტერესები. ინგლისური ენის მასწავლებლები, მსოფლიოს მასშტაბით ცდილობენ, სასწავლო პროცესი გახადონ უფრო მეტად ინტერაქციული, თავისუფალი, საინტერესო და სახალისო, განსაკუთრებით კი იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც მოზარდობის რთულ ასაკში არიან.

ერთ-ერთი საინტერესო მეთოდი, რომელსაც მასწავლებლები მიმართავენ უცხო ენის სწავლებისას, ეს არის მუსიკით სწავლა. ხშირად ამ მეთდით ასწავლიან ინგლისური ენის ლექსიკასა თუ გრამატიკასაც.

,,მუსიკა ერთადერთი ენაა მსოფლიოში, რომელიც თარგმნას არ საჭიროებს.''- ამტკიცებდა აუერბახი. მუსიკით ენის სწავლება ამდიდრებს ენობრივ ცოდნას და ამასთანავე ეხმარება მასწავლებელს, აღზარდოს საკუთარი მოსწავლეები

ესთეტიკურად. გარდა ამისა, ენა, როგორც ერის კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და წამყვანი კომპონენტი, სასურველია, შეისწავლებოდეს ფართო სპექტრით, რომლის საშუალებითაც მოსწავლე ცოდნასთან ერთად იძენს განსხვავებულ ხედვას შესასწავლი საკითხთან მიმართებით, ახალ კომპეტენციას, იფართოებს თვალსაწიერს. მსგავსი მიდგომა მოსწავლეებში იწვევს დადებით რეაქციებსა და ემოციებს, რაც წინაპირობაა წარმატებული ორმხრივი სასწავლო პროცესისა. ამ დროს იცვლება ემოციური მდგომარეობა და პიროვნული დამოკიდებულება მოსწავლეში შესასწავლი გაკვეთილის, სხვა მოსწავლეების, მასწავლებლის, სასწავლო სივრცის, სკოლის მიმართ. ეს ყოველივე კი წარმოადგენს წარმატებული საზოგადოებრივი ცხოვრების წინაპირობასა და გარანტიას.

3.4. კვლევა მოტივაციის მაჩვენებლის გამოვლენის მიზნით

უდავოა, რომ მოტივაციის არარსებობის შემთხვევაში ნებისმიერი მცდელობა მივიღოთ სრულფასოვანი აკადემიური ცოდნა ამა თუ იმ საგანში, მათ შორის უცხოური ენების მიმართულებით, სრულ ფიასკოს განიცდის, რადგან ადრე თუ გვიან მოსწავლეს ყოველგვარი ინტერესი ეკარგება, და სწავლისადმი სრულიად ინდეფერენტული ხდება. ჩემთვის განსაკუთრებული ინტერესის გამომწვევია იმის გარკვევა, თუ რა მეთოდების ან რომელი აქტივობების გამოყენება არის მოსწავლეებში მასტიმულირებელი და მოტივაციის ამაღლების ხელშემწყობი ინსტრუმენტები.

ასევე, ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა, დამწყები მასწავლებლისათვის, განსაკუთრებით ყურადსაღებია ასაკით უფროს მასწავლებელთა გამოცდილება და მათი რჩევა ამ მიმართულებით, რათა გავაანალიზო და ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობაში გავითვალისწინო ის აქტივობები, რომლებიც ჩემი მოსწავლეებისთვის მათი ინტერესებიდან და ინდივიდუალური მონაცემებიდან გამომდინარე ეფექტური და მნიშვნელოვანი შედეგის მომტანი იქნება. ამ მიზნით შევადგინე კითხვარი (იხ. დანართი 1) კოლეგა მასწავლებლებისადმი და რამდენიმე სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლებს ვთხოვე რეალური და გულწრფელი პასუხები გაეცათ. აქვე

განვუმარტე, რომ თუ შეკითხვა მათთვის არ იქნებოდა მისაღები, შეეძლოთ გამოეტოვებინათ. მინდა მადლიერებით აღვნიშნო, რომ კოლეგებმა გულისხმიერებით მიიღეს ჩემი თხოვნა და დიდი დახმარება გამიწიეს თავიანთი პასუხების დაფიქსირებით.

გარდა მასწავლებელთა რეკომენდაციებისა, უფრო მეტად საინტერესო და ნიშანდობლივია ჩემთვის უშუალოდ მოსწავლეთა დამოკიდებულება და მოტივი უცხო ენის, ჩემს შემთხვევაში კი ინგლისური ენის შესწავლის მიმართ. შესაბამისად, მათთვისაც შევადგინე კითხვარი (დანართი 2, 3, 4) და დავურიგე მე-4, მე-8 და მე-11 კლასის მოსწავლეებს; თუმცა მოსწავლეთა კითხვარებში რამდენიმე შეკითხვა ასაკობრივი ჯგუფების ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე განსხვავდება. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ჩემს ექსპერიმენტში ყველაზე მეტი ენთუზიაზმით მეოთხე კლასის მოსწავლეები ჩაერთნენ, მაგრამ მათთან კითხვების უფრო დეტალურად ახსნა მომიხდა. მერვე კლასის მოსწავლეებმაც მეტ-ნაკლები ინტერესი გამოავლინეს, მიუხედავად ამისა, უხალისობის ელემენტები შეიმჩნეოდა. რაც შეეხება მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს, აშკარად არ ჰქონდათ სურვილი მონაწილეობა მიეღოთ ინტერაქტივში, რამდენიმე მათგანმა პირდაპირ უარიც კი განაცხადა.

კითხვარებზე პასუხების შედეგების მიღებამდე მოსწავლეთა ენთუზიაზმის გამოვლენის ხარისხით ჩემთვის გარკვეული სურათი დაიხატა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოტივაციის მაჩვენებლის შესახებ, თუმცა რეალურმა შედეგები ჩემი მოლოდინისაგან გარკვეულ ასპექტებში განსხვავებული აღმოჩნდა.

დანართი 1.

კითხვარი მასწავლებლებისათვის:

1. რომელ აქტივობებში ერთვებიან მოსწავლეები ყველაზე მეტი ენთუზიაზმით
   a. აუდირების
   b. ლექსიკურ თამაშებში (ჯგუფური)
   c. როლურ თამაშებში
   d. პრეზენტაციებში/პროექტებში

2. რა მეთოდებს იყენებთ მოსწავლეებში საგნისადმი ინტერესის გაზრდისათვის
   a. სიტყვიერი წახალისების
   b. შეფასებითი წახალისების
   c. არაერთგვაროვან აქტივობებს
   d. ინდივიდუალურ საუბრებს

3. დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან შედეგების გაუმჯობესებისათვის:
   a. მივამაგრებ წარჩინებულ მოსწავლეს
   b. ვთანამშრომლობ მშობელთან
   c. ვუდგენ ინდივიდუალურ სავარჯიშოებს
   d. ყველა ზემოხსენებულს კომპლექსურად

4. სწავლების რომელ საფეხურზე ატარებთ უფრო მრავალფერვან აქტივობებს
   a. დაწყებით
   b. საბაზო
   c. საშუალო
   d. ყველა ეტაპზე თანაბრად

5. რომელი საფეხურის მოსწავლეები არიან უფრო მოტივირებულები
   a. დაწყებითი
   b. საბაზო
   c. საშუალო
   d. ყველა თანაბრად

6. რომელ საფეხურზე არის მაღალი აკადემიური მაჩვენებელი?
   a. დაწყებითი
   b. საბაზო
   c. საშუალო

d. ყველა თანაბრად

დანართი 2.

კითხვარი დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათის:

1. მოგწონთ ინგლისურის გაკვეთილები?

a. კი ძალიან

b. მომწონს საშუალოდ

c. არა

2. გაკვეთილის რომელი ნაწილი მოგწონთ

a. თამაშები

b. ახსნა

c. მოსმენა

3. სკოლის გარდა დამატებით მეცადინეობ?

a. კი

b. არა

c. მშობლები მეხმარებიან

4. ინგლისური ენის გაკვეთილი დამღლელია?

a. კი

b. არა

c. ცოტათი კი

5. დავალებებს ხალისით ასრულებ თუ მხოლოდ ვალდებულების გამო?

a. ხალისით

b. ვალდებულების გამო

6. გაინტერესებთ ინგლისურენოვანი მულტფილმების ყურება?

a. კი

b. არა

დანართი 3.

კითხვარი საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის:

1. მოგწონთ ინგლისურის გაკვეთილები?
    a. კი ძალიან
    b. მომწონს საშუალოდ
    c. არა

2. გაკვეთილის რომელი ნაწილი მოგწონთ
    a. თამაშები
    b. ახსნა
    c. მოსმენა

3. სკოლის გარდა დამატებით მეცადინეობ?
    a. კი
    b. არა
    c. მშობლები მეხმარებიან

4. ინგლისური ენის გაკვეთილი დამღლელია?
    a. კი
    b. არა
    c. ცოტათი კი

5. დავალებებს ხალისით ასრულებ თუ მხოლოდ ვალდებულების გამო?
    a. ხალისით
    b. ვალდებულების გამო

6. გაქვთ ინგლიურ ენოვან თანატოლებთან მიმოწერა?
    a. დიახ
    b. არა

7. თავს აქტიურ მოსწავლედ მიიჩნევ თუ პასიურ?
    a. აქტიურ
    b. პასიურ
    c. თემატიკიდან გამომდინარე

დანართი 4.

კითხვარი საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის:

1. მოგწონთ ინგლისურის გაკვეთილები?
    a. კი ძალიან
    b. მომწონს საშუალოდ
    c. არა

2. გაკვეთილის რომელი ნაწილი მოგწონთ
    a. თამაშები
    b. ახსნა
    c. მოსმენა

3. სკოლის გარდა დამატებით მეცადინეობ?
    a. დიხ
    b. არა
    c. დადებითი პასუხის შემთხვევაში ახსენით რა არ გაკმაყოფილებთ საკლასო მეცადინეობაში.

4. ინგლისური ენის გაკვეთილი დამღლელია?
    a. კი
    b. არა
    c. ცოტათი კი

5. დავალებებს ხალისით ასრულებ თუ მხოლოდ ვალდებულების გამო?
    a. ხალისით
    b. ვალდებულების გამო

6. გაქვთ ინგლიურ ენოვან თანატოლებთან მიმოწერა?
    a. დიახ
    b. არა

7. თავს აქტიურ მოსწავლედ მიიჩნევ თუ პასიურ?
    a. აქტიურ
    b. პასიურ
    c. თემატიკიდან გამომდინარე

წარმოგიდგენთ გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხების პროცენტულ მაჩვენებლებს (დანართი 5.6.7.8)

დანართი 5.

მასწავლებელთა გამოკითხვის პროცენტული მაჩვენებელი:

რომელ აქტივობებში ერთვებიან მოსწავლეები ყველაზე მეტი ენთუზიაზმით?	**რა მეთოდებს იყენებთ საგნისადმი ინტერესის გაზრდისათვის?**	**დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან შედეგების გაუმჯობესებისათვის**	**სწავლების რომელ საფეხურზე ატარებთ უფრო მრავალფერვან აქტივობებს**	**რომელი საფეხურის მოსწავლეები არიან უფრო მოტივირებულები**	**რომელ საფეხურზე არის მაღალი აკადემიური მაჩვენებელი?**
10%	**25%**	**-**	**5%**	**40%**	**-**
30%	**35%**	**-**	**-**	**10%**	**45%**
35%	**25%**	**-**	**-**	**20%**	**55%**
25%	**15%**	**100%**	**95%**	**30%**	**-**

დანართი 6.

დაწყებითი კლასის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები:

მოგწონთ ინგლისურის გაკვეთილი?	გაკვეთილის რომელი ნაწილი მოგწონთ?	სკოლის გარდა დამატებით მეცადინეობთ?	ინგლისური ენის გაკვეთილი დამღლელია?	დავალებებს ხალისით ასრულებ თუ მხოლოდ ვალდებულების გამო?	გაინტერესებთ ინგლისურენოვანი მულტფილმების ყურება?
98%	100%	5%	-	100%	55%
2%	-	90%	100%	-	45%
-	-	5%	-		

დანართი 7.

საბაზო საფეხურის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები:

მოგწონთ ინგლისურის გაკვეთილი?	გაკვეთილის რომელი ნაწილი მოგწონთ?	სკოლის გარდა დამატებით მეცადინეობთ?	ინგლისური ენის გაკვეთილი დამღლელია?	დავალებებს ხალისით ასრულებ თუ მხოლოდ ვალდებულების გამო?	გაქვთ ინგლიურ ენოვან თანატოლებთან მიმოწერა?	თავს აქტიურ მოსწავლედ მიიჩნევ თუ პასიურ?
95%	60%	15%	-	97%	50%	90%
5%	20%	70%	98%	3%	45%	-
-	20%	5%	2%			10%

დანართი 8.

საშუალო საფეხურის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები:

მოგწონთ ინგლისურის გაკვეთილი?	გაკვეთილის რომელი ნაწილი მოგწონთ?	სკოლის გარდა დამატებით მეცადინეობთ?	ინგლისური ენის გაკვეთილი დამღლელია?	დავალებებს ხალისით ასრულებ თუ მხოლოდ ვალდებულების გამო?	გაქვთ ინგლიურ ენოვან თანატოლებთან მიმოწერა?	თავს აქტიურ მოსწავლედ მიიჩნევ თუ პასიურ?
95%	60%	30%	-	98%	70%	95%

5%	20%	70%	99%	2%	30%	-
-	20%		1%			5%

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად ვხედავთ, რომ მოსწავლეების ინტერესი ასაკის მიხედვით იცვლება. დაწყებით კლასში ბავშვები აქტიურად ინტერესდებიან როლური თამაშებით, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ჯგუფური აქტივობებისა და პრეზენტაციების მიმართ ინტერესი.

არაერთგვაროვანი აქტივობები ზრდის მოსწავლეების ლტოლვას უცხო ენის მიმართ. რაც შეეხება დაბალი აკადემიური მოსწარების მოსწავლეებთან მიდგომას, პედაგოგები ერთხმად ემხრობიან კითხვარში მოცემული ყველა პუნქტის გამოყენების აუცილებლობას. ბავშვები უფრო მოტივირებულნი არიან დაწყებით საფეხურზე, რადგან მათთვის უცხო ენის შესწავლა გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს, რაც შეეხება აკადემიურ მაჩვენებელს, შედარებით მაღალია საშუალო საფეხურზე. აქტივობების მრავალფეროვნება ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია.

დაწყებით კლასებში როგორც ვხედავთ ყველა ხალისით სწავლობს უცხო ენას, მათთვის ეს სიახლეს წარმოადგენს, რაც ინტერესს და მოტივაციას ზრდის, მათ მოსწონთ თამაშები და მსგავსი აქტივობები.

რაც შეეხება საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, მათ უმრავლესობას უცხო ენა აინტერესებს და მოტივირებულნიც არიან, მოტივაციას საშუალო საფეხურზე ისიც ზედის, რომ წინ ეროვნული გამოცდები ელოდებათ, სადაც უცხო ენა აუცილებელი კომპონენტია. რა თქმა უნდა გამოიკვეთა მოსწავლეების ის კატეგორია, რომლებიც დამატებით, რეპეტიტორებთან ემზადებიან, ამას ისინი იმით ხსნიან, რომ მათთვის საგაკვეთილო დრო არ არის საკმარისი, საფუძვლიანი ცოდნის მისაღებად. საბედნიეროდ დღეს მეტ ნაკლებად ყველა მოსწავლე აქტიურობს და ცდილობს უცო ენის შესწავლას, რადგან მათ გააზრებული აქვთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კარიერული წინსვლისთვის ერთი უცხო ენის ცოდნა მაინც. ისინი აქტიურად ცდილობენ კონტაქტის დამყარებას უცხოელებთან გარკვეული პრაქტიკისთვის, რაც ასევე აუცილებელი პირობაა ენის დაუფლების პროცესში.

დასკვნა

როგორც დავრწმუნდით თამაში უცხო ენის შესწავლის განუყოფელი ნაწილია, იგი ზრდის მოტივაციას ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებში და სწავლის პროცესს უფრო მარტივს, სახალისოს ხდის.

თუმცა, თამაშის შერჩევისას მნიშვნელოვანია მოსწავლის ასაკისა და პირადი ინტერესების გათვალოსწონება, რადგან არასწორად შერჩეული თამაში არათუ ზრდის ინტერესსა და მოტოვაციას, არამედ აქვეითებს მას.

საინტერესო იქნება საგაკვეთილო პროცესში მობილური ტელეფონების გამოყენებაც, მოსწავლეები საკმაოდ აქტიურად იყენებენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, გაკვეთილზე კი მობილურს მიეცემა საგანმანათლებლო დატვირთვა, რაც ასევე უცხო ელემენტი იქნება შემსწავლელთათვის და მოტივაციის დონეც შესაბამისად ამაღლდება.

ჩატარებული კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა თუ რამდენად აქტიურად იყენებენ პედაგოგები სხვადასხვა აქტივობებს უცხო ენის შესწავლისას, რომელი აქტივობებით უფრო ინტერესდებიან მოსწავლეები, მოტივირებულნი არიან თუ არა ისინი და რა უარყოფითი ფაქტორები იკვეთება უცხო ენის შესწავლუსას.

კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ მისწავლეები და პედაგიგები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებს უცხო ენის შესწავლისას, რაც საკმაოდ დადებით შედეგს იძლევა. აქტივობებით დაინტერესება და მათი შერჩევა ასაკთან ერთად იცვლება, პატარებს მოსწონთ როლური თამაშები, მოსასმენი დავალებები, მოზრდილი ასაკის მოსწავლეები კი უფრო ჯგუფური თამაშებითა და პრეზენტაციებით ინტერესდებიან.

უარყოფითი რაც კვლევაში იკვეთება მოსწავლეების მხრიდან დროის უკმარისობაა, თუმცა ამ პრობლემის გადაჭრა საკუთარ თავზე მუშაობითაც არის შესაძლებელი.

ეს კვლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეების მოტივაციის დონის დადგენისთვის, არამედ ჩემი, როგორც პედაგოგის ეფექტიანობისა და პროფესიული უნარების ზრდისთვის.

ბიბლიოგრაფია:

1. ს. ლობჟანიძე 2012: „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“
2. ი. კუტალაძე, 2010: ეფექტიანი სწავლება .თეორია და პრაქტიკა, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის დეპარტამენტი, რედ.
3. თ. ჭყონია 2013: რა ფაქტორები უწყობენ ხელს სწავლის მოტივაციის ამაღლებას
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანება „მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ”.
5. Haydée Silva, Le jeu en classe de langue
6. Javier Suso Lopez, Jeux communicatifs et enseignement / apprentissage des langues étrangères
7. Gardner, R. C., Lambert, W. E. (1972). Attitudes and Motivation in Second Language Learning. Rowley, MA: Newbury House Publishers
8. Hermann, G. (1980). Attitudes and success in children´s learning of English as a second language: The motivational versus the resultative hypothesis. English Language Teaching Journal 34 (4), 247-254.
9. Lukmani, J. M. (1972). Motivation to learn and language proficiency. In: Language learning. 261- 273
10. Riemer, C. (2010). Motivation. In: Halley, W., Königs, F. (Hrsg.). Handbuch Fremdsprachendidaktik. Seelze-Velber. 168-172.
11. Schumann, J. (2001). Learning as foraging. In Z. Dornyei, Z., Schmidt, R. (Eds.). Motivation and second language acquisition (Technical Report #23, 21-28). Honolulu: University of Hawaii, Second Language Teaching and Curriculum Centre
12. Celce-Murcia. M. (2001). Teaching English as a Second or Foreign Language(3rd ed). USA: Heinle&Heinle.
13. Halliwell Susan, Teaching English in the Primary Classroom, London, Longman, 1992.

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები:

1. http://www.absorbentminds.co.uk/acatalog/What_is_Montessori_.html
2. http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf
3. https://www.linguacore.com Why Learning a Foreign Language in School Doesn't Work (and How to Make it Work) , Luca Lampariello August,10,2017
4. mastsavlebeli.ge/?p=281
5. http://ncp.ge/